

საბა

№10
ოქტომბერი
2010

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

ოქტომბერი – ეისიონელური თვე



400 წელი გეგა მათეო ჩიჩის გარდაცვალებიდან

2010-2011 აკადემიური სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული მიმართვა „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ თანამშრომლებისა და სტუდენტებისადმი, აგრეთვე საქართველოს ყველა სასწავლებლისადმი

მოხარული ვარ, რომ დღეს თქვენთან შეხვედრის საშუალება მომეცა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, მოგესალმოს და მოგილოცოთ. იწყება ახალი სასწავლო წელი და საბა ახალი სახით წარმოგვიდგება: მან მოიპოვა სახელმწიფო აღიარება, უნივერსიტეტის საპატიო წოდება და შესაბამისად, გაიზარდა მისი პასუხისმგებლობა. ამის გარდა გაფართოვდა კიდევაც, ჰუმანიტარულ ფაკულტეტს (თეოლოგიის სპეციალობა) დაემატა იურიდიული ფაკულტეტიც.

გისურვებთ ყველას, ვისაც ამ უნივერსიტეტში სხვადასხვა პასუხისმგებლობა გაკისრიათ, თქვენი ცხოვრების კარგი და საინტერესო წელი გაატაროთ.

არამგონია, რთული იყოს ამ ორი ფაკულტეტის ფონზე იმ მნიშვნელოვანი ასპექტის გამოკვეთა, რომ უნივერსიტეტის ცენტრშია, არის და იქნება ადამიანი, რაც ნიშნავს – ჭეშმარიტება.

თეოლოგიის სწავლის სიდიდე და სიღამაზე დევს სწორედ ამაში: შეიყვანო ადამიანი ღვთიურ რეალობაში. და რომ თეოლოგიამ, როგორც გონების სავარჯიშომ, პასუხი გასცეს ჭეშმარიტების შეკითხვას.

თეოლოგიის სწავლების უმთავრესი მიზანი არის, აღძრას სტუდენტებში ფიქრი თეოლოგიაზე და არა – მიიღოს ცოდნა თეოლოგიაზე, რაც შედარებით უფრო ადვილი იქნებოდა! ფიქრი თავისუფლებასთან ერთად ის მთავარი ფაქტორებია, რომლებიც ადამიანს შექმნილ სამყაროში ერთადერთ და განსაკუთრებულ სიტუაციაში აყენებენ და შეუძლია ადამიანისათვის ხელშესახები და მისანვდომი გახადოს ყოველგვარი რეალობა. არსებობს მეცნიერული, ფილოსოფიური, იურიდიული და ასევე თეოლოგიური ფიქრი. ვფიქრობ, რომ საქართველო საჭიროებს თავისუფალ არეალს მოფიქრებისათვის... და ერთად მოფიქრებისათვის... ვოცნებობ ისეთ ხალხზე, რომლებიც ერთად, სწორედ აქ შეიგძნობენ ფიქრის, ძიების და გადაცემის ხიბლს. ეს ყველაფერი განხორციელებადია მხოლოდ თავისუფლებაში და სხვების პატივისცემაში!

თეოლოგიის მიმართულებაში, როგორც პასუხზე ჭეშმარიტებასთან მიმართებაში, არის იურისპრუდენცია, ჩვენი უნივერსიტეტის ახალი ფაკულტეტი. სამართლიანობის განცდა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

როგორც კი ესა თუ ის წესი მიღებული იქნება სოციალური ცხოვრების პრაქტიკულ ინსტრუმენტად, იგი შეიძენს თავის ფუნქციას, მნიშვნელობას – დააკმაყოფილოს კოლექტივის ეთიკური საჭიროებები. ამიტომ კანონი – იურიდიული ასპექტის საფუძვლიდან და ეთიკური არჩევანის მიმართულებიდან გამომდინარე, ეფუძნება სამართლიანობასა და ჭეშმარიტებას. ვინც ემსახურება კანონს, პასუხობს სამართლიანობის და საზოგადოების საჭიროებებს და უეჭველად აყენებს

ადამიანს თავისი მოქმედების და ფიქრების ცენტრში, სიტუაციაში, რომლის შედეგადაც ადამიანს შესაძლებლობა აქვს აღიქვას და გაითავისოს რეალობა არა მატერიალური გზით. ფაკულტეტმა სტუდენტები ამ ფიქრით უნდა გაზარდოს.

საქმე, რომელიც ცენტრში აყენებს ადამიანს, აყენებს მას კონკრეტულად და ადვილი ფორმით. იმედი მაქვს, რომ მოვისმენ ხალხისგან:

„საბა“ ის ადგილია, სადაც კარგად გრძნობ თავს, კარგად გღებულობენ, გისმენენ და გიგებენ.

„საბა“ ასევე ის ადგილია, სადაც მოთხოვნაც მალაღია მოვალეობებისა და და სერიოზული მიდგომების მხრივ, სტუდენტების საქმიანობის მიმართ.

„საბა“ ის ადგილია, სადაც უნდა ემსახურო სხვას, რათა შეიგრძნო ოჯახური კლიმატი, ხოლო მას, ვისაც აქვს სირთულეები, დაეხმაროს ის, ვისთვისაც განგებამ მეტი იღბალი გამოიმეტა.

„საბა“ ის ადგილია, სადაც ყოველთვის ქრისტიანული სული მეფობს, სადაც სულიერ ფორმაციას ეთმობა იმდენივე ყურადღება, როგორც ხორციელს, ადამიანურს, რათა საბას წევრმა ირწმუნოს, რომ ადამიანი ერთია: სხეული და სული.

„საბას“ შეუძლია ამ ქვეყნის კულტურის სამყაროში შეგვიძღვს, რათა გაუზიაროს თავისიც, ეძიოს დიალოგი ნებისმიერ დაწესებულებასთან.

ამ მიზნებს ემსახურება, ეყრდნობა და იზიარებს კათოლიკე ეკლესია.

ძვირფასო,

ყოველი ადამიანი ჭეშმარიტების მოყვარულია – შეიძლება ადამიანს არ ჰქონდეს ეს სიყვარული? შეუძლებელია არ იყოს კმაყოფილი იმ საქმით, რასაც დღეს ვინცებთ, რადგან ის ყოველი საქმით უნდა იყოს მოხარული, სადაც ადამიანი მოწოდებულია გამოიყენოს თავისი გონება ჭეშმარიტების საძიებლად. სწორედ ეს ჭეშმარიტება დგას ჩვენ წინ, რადგან ის არის საწყისი, პირველი კავშირი ადამიანებს შორის: კავშირი, რომელიც სრულად გვათავისუფლებს, რათა თავისუფლებაში ვიყოთ მართალნი. ვისურვებდი მეფიქრა ამ უნივერსიტეტზე როგორც ადგილზე, სადაც ნებისმიერი ცრურწმენის გარეშე სტუდენტებისთვის იხსნება რეალობის კარი, ცხოვრების კარი.

განსაკუთრებულ მაღლობას ვუხედი იმათ, ვინც იმრომა ამ თვეების განმავლობაში, რათა ყველაფერი მზად ყოფილიყო.

ყველას ვუსურვებ კარგ აკადემიურ წელიწადს!!!

„სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ დამფუძნებელი ჯუზეპე პაპოტი

ნდობით აღვსილი ადამიანები, მოქალაქეები და ქრისტიანი მორწმუნეები

ნდობა – ის გასაღებია, რომელიც კაცთა გულებს აღებს; ის ბაღია, სადაც ყველაზე ლამაზი ყვავილები ხარობენ; ხიდია, რომელიც უცნობ გულებს ერთმანეთთან აერთებს; სინათლეა, რომელიც შიშის ჟამს გამოკრთება; აბჯარია სირთულეებისა და ეჭვების წინაშე; ზარია, რომელიც სასიცოცხლო რესურსების მისაღებად იხმობს; წყალობაა, რომელსაც სული ვერასოდეს უღალატებს....

ნუთუ ეს ყველაფერი არის *ნდობა*? იქნებ, *ნდობა* ილუზიაა, ანდა ხატოვანი, ლიტონი და არაფრისმთქმელი სიტყვაა? „თუ ენდობი, კარგია, თუ არ ენდობი, მთლად უკეთესი!“ – ხშირად გაიგონებთ დღეს ამგვარ ფრაზას. მრავალი *ფიქრობს, რომ ყველაზე რთული დღევანდელ დღეს სწორედ ადამიანის ნდობაა, ასევე, რთულია სახელმწიფოს, ეკლესიის ნდობა... და ნდობა თავად ღვთისა; ხშირად, როდესაც ვფიქრობთ, რომ ჩვენი ახლობელი ადამიანები ნდობას იმსახურებენ, სწორედ ისინი გვაყენებენ გულისტკივილს!* შეიძლება ითქვას, *ნდობა* ერთ-ერთი მთავარი საკითხია ცხოვრებაში;...ჩვენი ნდობის ხარისხი იმ სიყვარულით განიზომება, რაც თავად გაგვანია საკუთარი თავის მიმართ, ასევე, სიღრმისეული და საგულისხმო ურთიერთობებით, სიცოცხლისადმი ხალისიანი დამოკიდებულებით. *ნდობა* ძვირფასი საგანძურია, ამ სიტყვის სრული გაგებით. *ნდობა* – ეს შინაგანი ქმედებაა, რომელიც იბადება არა ხვალინდელი უკეთესი დღის სურვილიდან, არამედ დღევანდელი დღიდან: სწორედ დღეს უნდა გამოვხატო ჩემი რწმენა; არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხვალ ან მომავალში ყველა ოცნებას შევასხამ ხორცს, არამედ იმიტომ რომ სწორედ დღეს ვარ მოხმობილი ცხოვრებაში. ცხადია, შევეცდები უკეთესი გარემოს შექმნას, ისეთის, რომელიც უფრო ნაკლებად მიაყენებს ტანჯვას ჩვენს შვილებს, მაგრამ ნდობის გამოხატვა უპირველესად ნიშნავს, ჩემს ირგვლივ არსებულ გარემოში და ჩემს ცხოვრებაში, განსაკუთრებით მძიმე ნუთებში, ავაკიაფო სინათლე, დავინახო დაფარული თესლი, გავიზარდო შინაგანად. ამრიგად, ნდობის გამოჩენა ნიშნავს იმის რწმენას, რომ ცხოვრებაში არაფერი იკარგება, არც სიკეთე, არც ბოროტება. *როჯერი, Taizé-ის (საფრანგეთი) ეკუმენური მონასტრის დამაარსებელი, რომელიც 2005 წელს მოკლეს, შემდეგს წერდა: „სულიერი განსაცდელებისა თუ სხვადასხვა წინალობათა გადალახვის ნუთებში არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჭრილობები, რომლებიც მღელვარებას წარმოშობენ, შემოქმედის საუკეთესო ძალებიდან იღებენ სათავეს; და მაშინ იხსნება გზა, რომელიც ეჭვებიდან გადადის ნდობაში“.* ნდობა შემოქმედებითის სინონიმია, ანუ რეალობის იმ მზერაში გარდასახვის უნარი, რომელიც გრძნობს ამ თვისების გაღვივების, მისი გაცემის, ან თავიდან მოპოვების უსასრულო შესაძლებლობებს. ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჩვენი სისუსტეებისა და ნაკლის აღიარება, რაც ხშირად გვიძნელდება; ვინაიდან ერთადერთი გზა სირთულის დასაძლევად არის რეალობის თვალეში ჩახედვა, გზის გაგრძელება, და არა მუდმივად მონისა და მსხვერპლის მანტიაში ყოფნა. დაბრკოლებათა გადალახვა ქრისტიანისთვის ქრისტეზე მინდობას გულისხმობს, რომელსაც მისი შეცვლა შეუძლია,

რამეთუ მისგან მოედინება იღუმალი გზით სიკეთის წყარო. ნდობა ასევე ხდება სოციალური ფენომენი: ის, რაც პიროვნებათა ერთ ჯგუფს აერთიანებს, ან იმ მრავალმხრივი კავშირების რეალიზების საშუალებას იძლევა, რაც „სოციალურ თანაცხოვრებად“ განისაზღვრება, და რაც ხელს უშლის იმას, რომ არ ჩამოყალიბდეს 600-იან წლებში ჰობსის მიერ გამოქმენილი მოსაზრება: „*homo homini lupus*“ (ადამიანი ადამიანისთვის მგელია). ამ თვალსაზრისით, ნამდვილად საყურადღებოა აშშ-ს პრეზიდენტის, ჯ.ფ. კენედის ეს განცხადება: „*იკითხეთ არა ის, თუ რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ქვეყანას თქვენთვის, არამედ თქვენ რისი გაკეთება შეგიძლიათ თქვენი ქვეყნისთვის*“.

დაუღლელად უნდა ვცდილობდეთ ნდობის გამონევას, რამეთუ მისი ანტიპოდი არის ეჭვი, ანუ ის დამანგრეველი ძალა, რომელიც ადამიანის სულის სიღრმეში იდგამს ფესვებს და ღრღნის მას. ეჭვის შედეგი მოყვასისადმი გულგრილობაა, სხვისადმი შიშია; საზოგადოებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისადმი უნდობლობას იქამდე მივყავართ, რომ ყველაფერს დამახინჯებულ ფილტრში ვატარებთ და ისე განვიკითხავთ, სწორედ აქედან იბადება გაუგებრობა, ძალადობა, გულცივობა, უბედურება....პრეზიდენტი მუდმივად მოგვიწოდებს ნდობისკენ, რათა დავინახოთ პოზიტიური შედეგები მიღწეულ საქმეებში, თუნდაც მცირედში. საჭიროა ნდობაზე დაფიქრება, – როგორც ეს მოხდა 14 აგვისტოს, წეროვანში, ახალგაზრდების შეხვედრაზე, – მით უფრო მეტად, ახალი სამუშაო სეზონის დასაწყისში, ახალი სასწავლო წლისა და ახალი კატეხისტური წლის დასაწყისში. ოქტომბრის თვეში, როდესაც ეკლესია ვალდებულებას იღებს, რომ იესოს სახარება მიაწოდოს ყველას, ვინც ჯერ კიდევ არ იცნობს მას, და ყველა მონათლულს, რომ დაფიქრდნენ სახარებაზე, მათი ცხოვრებისათვის აუცილებელ ძალაზე; პაპი, თავის მიმართებაში, მისიონერული თვის შესახებ, შემდეგს წერს: „მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, სადაც უფრო მეტად იგრძნობა მარტოობა და შემაშფოთებელი გულგრილობა, ქრისტიანები, იმედის ნიშნად, უნდა იქცნენ საყოველთაო ძმებად, უნდა შეძლონ იმ დიდი იდეალების ხორცშესხმა, რაც სამყაროს გარდაქმნის და, ყოველგვარი ილუზიისა თუ ფუჭი შიშის გარეშე, იღვანონ იმისთვის, რომ პლანეტა ყველა ხალხის მშობლიურ სახლად იქცეს. ბერძენი პილიგრიმების მსგავსად, რომლებიც ორი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ, ჩვენი დროის ადამიანებიც, შესაძლოა გაუცნობიერებლად, მორწმუნეებისგან არა მხოლოდ იესოზე „ლაპარაკს“ ითხოვენ, არამედ იესოს „ჩვენებას“, მაცხოვრის სახის გაბრწყინებას მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ყოველი კონტინენტის ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სახარების უწყების ძირითადი ადრესატები არიან. მათ უნდა იცოდნენ, რომ მორწმუნეები ქრისტეს სიტყვას იმ-იტომ აუწყებენ, რომ ის ჭეშმარიტებაა, რომ მათ სწორედ ქრისტეს სიტყვაში მიაგნეს თავიანთი ცხოვრების მთავარ აზრსა და ჭეშმარიტებას“.

მამა ბაბრიელ ბრაბანტინი



ბენედიქტე XVI-ის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში

„გული გულს მიმართავს“, – კარდინალ ნიუმენის ეს სიტყვები უწმიდესი პაპის ვიზიტის დევიზი გახდა.

პაპის თვითმფრინავი ედინბურგში 16 სექტემბერის დილას დაეშვა. აეროპორტში პონტიფექს ედინბურგის ჰერცოგი და ედინბურგის მთავარეპისკოპოსი დახვდნენ. აეროპორტიდან ბენედიქტე XVI ჰოლირუდ-ჰაუზში გაემართა, სადაც დედოფალ ელიზაბეტ II-ს შეხვდა.

აუდიენციისას უწმიდესმა პაპმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ქრისტიანობა იყო და დღესაც არის ბრიტანელი ხალხის ენის, აზროვნებისა და კულტურის განუყოფელი ნაწილი; რწმენით ნაკვები გულმონყალება და კაცთმოყვარება დღემდე განამტკიცებს გაერთიანებულ სამეფოს მის მკვიდრთა საკეთილდღეოდ. ბენედიქტე XVI-მ ასევე ისურვა, რომ ქვეყანაში ყოველთვის დაცული იყოს ტრადიციული ღირებულებები, რომელთაც დღეს გააფთრებით ესხმის თავს აგრესიული სეკულარიზმი.

„წმიდა საყდარი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საერთაშორისო პრობლემათა გადაწყვეტაში, მშვიდობის დამკვიდრების საქმეში, სიღარიბესთან და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში... რომის პაპის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში ჩვენი საერთო ქრისტიანული მემკვიდრეობის შესახებ გვახსენებს“, – აღნიშნა დედოფალმა ელიზაბეტ II-მ.

17 სექტემბერს უწმიდესი პაპი ლამბეტის სასახლეში კენტერბერის მთავარეპისკოპოსს როუენ უილიამსს შეხვდა. „დღეს მე არ მსურს საუბარი იმ სირთულეებზე, რომელთაც ეკუმენური მოძრაობა აწყდება. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ მეგობრობისთვის, რომელიც ჩვენს შორის არსებობს და იმ შედეგებისთვის, რომელსაც საერთაშორისო ანგლიკანურ-კათოლიკურმა კომისიამ მიაღწია თავისი არსებობის ორმოცი წლის მანძილზე. მივანდოთ ამ ღვანლის ნაყოფი უფალს იმ სასოებით, რომ იგი აკურთხებს და განამტკიცებს ჩვენს მეგობრობას“, – აღნიშნა პონტიფექსმა. ლამბეტის სასახლიდან უწმიდესი პაპი უესმინსტერ ჰოლში გაემართა, სადაც ბრიტანეთის პოლიტიკურ ლიდერებსა და საზოგადოების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებს შეხვდა.

18 სექტემბერს, დილით, ვესტმინსტერის მთავარეპისკოპოსის რეზიდენციაში გაიმართა ბენედიქტე XVI-ის შეხვედრა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან დევიდ კემერონთან და ვიცე-პრემიერთან ნიკ კლეგთან. საღამოს ჰაიდ პარკში, სადაც უწმიდესმა პაპმა წირვა აღავლინა, 80 000 მორწმუნემ მოიყარა თავი.

19 სექტემბერს, დილით, ბირმინგემში შედგა პაპის ვიზიტის მთავარი მოვლენა – კარდინალ ნიუმენის ბე-ატიფიკაცია. ღია ცის ქვეშ გამართულ წირვას 55 000 მორწმუნე დაესწრო. ჯონ ჰენრი ნიუმენის ცხოვრებისა და საქმეთა ნაკითხვის შემდეგ უწმიდესმა პაპმა იგი ნეტარად განადიდა და მისი ხსენების დღედ 9 ოქტომბერი გამოაცხადა.

ვიზიტის დასასრულს ბირმინგემის სემინარიაში ბენედიქტე XVI ინგლისის, უელსისა და შოტლანდიის ეპისკოპოსებს შეხვდა.

ვატიკანის რადიოს ჟურნალისტთან საუბრისას წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის მდივანმა ფედერიკო ლომბარდომ ასე შეაფასა უწმიდესი პაპის ვიზიტი: „მე ვიტყვი, რომ ვიზიტი პოზიტიური იყო სწორედ იმ პერსპექტივაში, რომელიც პაპს აინტერესებს. ეს არის შესაძლებლობა, იპოვოს ადამიანები, რომლებიც მზად არიან ქრისტეს გზავნილის მოსასმენად. ჩვენ კარგად ვიცით, რომ პაპს არ სურს, ვარსკვლავი იყოს. ეს ეწინააღმდეგება მის პიროვნებას, მის მსახურებას და მის სურვილს. მაგრამ მას ახარებს, როდესაც მასში ღმრთის მსახურს ხედავენ. პაპი დიდი მოძღვარი და უაღრესად განათლებული ადამიანია, მაგრამ ამავე დროს იგი თავმდაბალი და გულისხმიერია. ამიტომაც ამ ვიზიტისას მრავალ ადამიანს გაუჩნდა მისი მოსმენის სურვილი. დაძლეულ იქნა სტერეოტიპები და ინფორმაციის დეფიციტი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არა მხოლოდ კათოლიკეებმა, არამედ ინგლისის მთელმა საზოგადოებამ უკეთ გაიცნო პაპი და დაინახა მასში მეგობარი, ადამიანი, რომელიც სიკეთის ეპისტოლით მოვიდა. მინდა აღვნიშნო, რომ ამაში დიდი როლი ტელევიზიას მიუძღვის. ხშირად ჩვენ სამართლიანად ვაკრიტიკებთ მას, მაგრამ ამჯერად ვიზიტი სათანადოდ იყო გაშუქებული.“

უწმიდეს პაპთან დამშვიდობებისას ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა ასეთი რამ თქვა: „პაპმა მთელი ქვეყანა დააფიქრა“. ეს მართლაც ასეა და კარგია, რომ ამას მთავრობის მეთაურმა, გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა პირმა გაუსვა ხაზი. პაპი არავის არაფერს ახვევს თავს. იგი მხოლოდ სთავაზობს. სთავაზობს ადამიანებს რწმენის გზავნილს; სთავაზობს დაფიქრდნენ, რათა შეაფასონ ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს საზოგადოება და მთელი მსოფლიო იმყოფება. პაპი სიკეთეს სთავაზობს



ადამიანებს. სახარება ხომ ხსნისა და სიკეთის გზავნილია. თუმცა გულახდილი უნდა ვიყოთ: ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ საზოგადოება დაივიწყებს ფესვებს, დაკარგავს საფუძველს. ეს გზავნილი ამ საშიშროების შესახებაც გვაფრთხილებს. ხშირად ისე ხდება, რომ ამ გაფრთხილებას პოლემიკა მოსდევს და იგი განიხილება, როგორც რაღაც აგრესიული. სინამდვილეში კი იგი ყოველი ადამიანის, საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოსათვის ზრუნვითაა ნაკარნახევი.“

პოზიტიურად შეაფასა ბენედიქტე XVI-ის ვიზიტი კენტერბერის მთავარეპისკოპოსმა როუენ უილიამსმაც. მან აღნიშნა, რომ პესიმისტური პროგნოზები პაპის ვიზიტთან დაკავშირებით არ გამართლდა. მრავალი ადამიანი გამოვიდა ქუჩებში და პონტიფექსის ვიზიტმა ცხადჰყო ის, რომ რიგით ბრიტანელთა დიდი ნაწილი გახსნილია რწმენისთვის.

ბრიტანეთის მას-მედიის საშუალებათა ტონი პაპის ვიზიტის დასრულების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. გაზეთები აღნიშნავენ ბრიტანელებისათვის უჩვეულო ენთუზიაზმს, რომლითაც ბენედიქტე XVI-ს



შოტლანდიასა და ლონდონში შეხვდნენ. როგორც ჩანს, ბენედიქტე XVI-მ მართლაც შეძლო ბრიტანელთა გულების მონადირება.

მართლმადიდებელი ღმრთისმსახური ჯონ ჰენრი ნიუმენის შესახებ

ამონარიდი პროტოდიაკონ კონსტანტინე მარკოვიჩის სტატიიდან „ჯონ ჰენრი, კარდინალი ნიუმენი“

ჯონ ჰენრი ნიუმენის შემოქმედება უდავოდ წარმოადგენს ინტრესს თანამედროვე მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველებისათვის. უნდა გამოვეყოთ რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამო მნიშვნელოვანია მისი მემკვიდრეობის თარგმნა და შესწავლა:

ნიუმენი იყო ჩინებული ფილოსოფოსი და აპოლოგეტი, რომელიც იცავდა ღმრთიურ გამოცხადებაზე, წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემაზე დაფუძნებულ



ტრადიციულ ქრისტიანობას სეკულარული ფილოსოფიისა და მეცნიერების მტრული თავდასხმებისაგან;

ნიუმენი იყო თავისი დროის უდიდესი მკვლევარი უძველესი ეკლესიისა და პატროლოგიის სფეროში. მისი თხზულებები და ტრაქტატები არიანული დავების, წმიდა ათანასე ალექსანდრიელის, ნეტარი ავგუსტინეს, ქრისტიანული მოძღვრების განვითარების შესახებ და სხვ. დასავლეთში XIX საუკუნის ფუნდამენტური საღმრთისმეტყველო მეცნიერების კლასიკურ ნიმუშებად ითვლება;

კათოლიკე ღმრთისმეტყველთა მიერ ნიუმენის ავტორიტეტი თითქმის უტოლდება წმიდა მამათა ავტორიტეტს;

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მან უდიდესი წვლილი შეიტანა ინგლისურენოვანი სამყაროს კულტურაში, ქრისტიანულ ევროპაში როგორც მეცნიერმა, განმანათლებელმა, სკოლების დამაარსებელმა და ადამიანმა, რომელმაც ზნეობის, პატიოსნების, სახარების კანონისა და სინდისის ერთგულების მაგალითი აჩვენა.

მართლმადიდებელი და კათოლიკეები რომის ეპისკოპოსის როლის შესახებ მსჯელობენ

20 სექტემბერს ვენაში გაიხსნა მართლმადიდებლურ-კათოლიკური საღმრთისმეტყველო დიალოგის საერთაშორისო შერეული კომისიის XII პლენარული სხდომა. ამჯერად კომისია ჩაულრმავდება საკითხს, რომელიც განიხილებოდა 2009 წელს კვიპროსზე, კომისიის წინა სესიაზე – რომის ეპისკოპოსის როლი პირველი ათასწლეულის ეკლესიაში.

ამრიგად, რომის ეპისკოპოსის პირველობის თემა საყოველთაო ეკლესიაში კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგის ახალი ფაზის ცენტრში აღმოჩნდა. სამი წლის წინ, რავენაში, კომისიამ მიიღო დოკუმენტი „ეკლესიის საკრამენტული ბუნების ეკლესიოლოგიური და კანონიკური შედეგები: საეკლესიო თანაზიარება, ერთობა და ავტორიტეტი“. დოკუმენტში ნათქვამია რომ სამ – ადგილობრივ, რეგიონულ და საყოველთაო

დონეზე არის პირველი: ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, პატრიარქი ან რომის ეპისკოპოსი. რაც შეეხება პირველს საყოველთაო დონეზე, კომისიის წევრებმა დაადგინეს შემდეგი: „ორივე მხარე (კათოლიკეები და მართლმადიდებლები) ეთანხმებიან იმას, რომ რომის ეკლესიას, სიყვარულში უწინარესს, პირველი ადგილი ეკავა ეკლესიათა შორის, რომის ეპისკოპოსი კი პირველი იყო პატრიარქთა შორის“. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში დიალოგის შემდგომი ამოცანაა დასახული: „გვმართებს რომის ეპისკოპოსის როლის უფრო ღრმა შესწავლა. რაში მდგომარეობს „პირველი კათედრის“ ეპისკოპოსის განსაკუთრებული ფუნქცია საეკლესიო თანაზიარებაში იმის შუქზე, რასაც ვამტკიცებთ ამ დოკუმენტში ერთობისა და ავტორიტეტის შესახებ?“.

ამ დოკუმენტის საფუძველზე კომისიამ სამუშაო პროექტი მოამზადა. 2008 წლის დასაწყისიდან კომისია ორი, ინგლისური და ფრანგულენოვანი, ჯგუფი შეისწავლიდა პირველ ათასწლეულს, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანები ერთნი იყვნენ. 2008 წლის შემოდგომაზე გაიმართა კომისიის საკოორდინაციო კომიტეტის შეხვედრა, რომელზეც დასკვნითი დოკუმენტის პროექტი შემუშავდა. თუმცა 2009 წლის სხდომაზე გადაწყდა, რომ საკითხის სირთულე მეტ დროსა და უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

მიმდინარე სესია 27 სექტემბერს დასრულდება. შეხვედრის მონაწილეთა ამოცანა ისტორიული ფაქტებისა და მონობების განხილვა და ყველასათვის მისაღები ნაკითხვაა, რაც ობიექტურობას, გულისხმიერებას და დიდ შრომას საჭიროებს.

როგორ შევინარჩუნოთ სიძსტას კაპელა

სიქსტეს კაპელას ყოველწლიურად 5 მილიონამდე ადამიანი სტუმრობს. შედეგად ფრესკებს ფარავს მტერის სქელი ფენა, რომელიც ვიზიტორებს მოაქვთ



თან. გარდა ამისა საღამოს, როდესაც მონახულების დრო მთავრდება და ტურისტების ნაკადი წყდება, კაპელის შიგნით წარმოიქმნება ე. წ. კლიმატური სტრესი, ანუ ტემპერატურული ნახტომი, რაც ასევე ცუდად აისახება ფრესკების მდგომარეობაზე. ვატიკანის მუზეუმების დირექტორი ანტონიო პაოლუჩი აღნიშნავს, რომ გარეგნული ცვლილებები ჯერ არ ჩანს, მაგრამ იმის-

თვის, რომ მომავალმა თაობებმაც შეძლონ შედევრით ტკბობა, დაუყოვნებელი ზომების მიღებაა საჭირო. ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ კაპელა მნახველებისთვის უნდა დაიხუროს. პრობლემის გადაწყვეტა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებითაა შესაძლებელი.

ეროვნული კვლევითი საბჭოს გამოყენებით ტექნოლოგიების ინსტიტუტი კაპელის სამგანზომილებიანი რეპროდუქციის შექმნას სთავაზობს, პადუას სკოლენის კაპელის მსგავსისა. თუმცა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვატიკანის მუზეუმების დირექტორი, იგი ვერ ჩაანაცვლებს თავად ორიგინალთან შეხვედრას.

ამ ფონზე უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ სექტემბერ-ოქტომბერში პარასკევობით ვატიკანის მუზეუმები საღამოს რვა საათის ნაცლად 11 საათამდე იმუშავებს. თუმცა, როგორც აღნიშნავს ანტონიო პაოლუჩი, ამ დროს ტურისტების ნაკადი შედარებით მცირეა, მეორე მხრივ, კი დამატებითი საათები „დღიურ“ მნახველთა ნაკადის შემცირების საშუალებას იძლევა.

„მართლის საქმე არ კვდება“

წმიდა საყდრის სამოციქულო დესპანმა რუსეთში ანტონიო მენინიმ მიმართვა გაუგზავნა კონფერენციის – „ალექსანდრე მენი და მისი დრო“ მონაწილეებს. ლონსიძიება მამა ალექსანდრე მენის გარდაცვალების მე-20 წლისთავს ეძღვნება. მთავარეპისკოპოსი მენინი აღნიშნავს, რომ პირადად არ იცნობდა მამა ალექსანდრე მენს, მაგრამ სულიერ სიახლოვეს გრძნობს მასთან. „ქრისტიანისთვის სიკვდილი ზეციური დაბადების დღეა. მამა ალექსანდრეს ხსოვნა ცოცხალია დღევანდელ ეკლესიაში. ამის ნიშანი მრავლადაა: მისი სულიერი შვილები, მისი წიგნები, კეთილი საქმეები, რომელთა მიზეზი იგი იყო და რომლებიც დღეს მრავალ ადამიანთა ამოცანად იქცა. ასეთია, მაგალითად, ბავშვთა ფედერალური საავადმყოფო.



მართლის საქმე არ კვდება მასთან ერთად, არამედ იფურჩქნება და მრავლდება, რადგან ეს მისი საქმე კი არა, უფლის საქმეა, რომელიც ზეციდან დაევალა“.

კონფერენციის გახსნაზე მიმართვა ნუნციატურის მდივანმა ვისვალდას კულბოკასმა წაიკითხა. თავის მხრივ, მან აღნიშნა, რომ ალექსანდრე მენის მაგალითი ერთობისკენ მონობებაა. მოძღვრის ხსოვნას პატივი მიაგეს ასევე მოძრაობის „Comunione e Liberazione“ და ფონდის „Христианская Россия“ წევრებმა, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით იტალიაში ალექსანდრე მენის შემკვიდრების გავრცელებაში.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

დედა ტერეზა 100 წლისაა

„სიცოცხლე მაღლია – დაიცავი“
დედა ტერეზა

აგნეს ბოიკაშე, უფრო ცნობილი სამონაზვნო სახელით – დედა ტერეზა, დაიბადა 1910 წლის 26 აგვისტოს, სნო-ჰიეში (ალბანეთი) და გარდაიცვალა 1997 წლის 5 სექტემბერს, კალკუტაში, 87 წლის ასაკში.

2003 წლის 19 ოქტომბერს, პაპ იოანე პავლე მეორის პონტიფიკატობის 25-ე წელს, დედა ტერეზა ნეტარად გამოცხადდა. „ეს პატარა მონაზონი ჩემი პონტიფიკატობის პერიოდის მნიშვნელოვანი ფიგურაა“, – განაცხადა მაშინ პაპმა. ყველასათვის ცნობილია ის განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული, რომელიც პაპს გააჩნდა დედა ტერეზას მიმართ.

დედა ტერეზას მოღვაწეობისა და მისი ბეატიფიკაციის შესახებ ტომებია დაწერილი; იგი მფლობელია უამრავი საერთაშორისო ჯილდოსი, მათ შორის, ნობელის პრემიისა; მას წილად ხვდა მთელი მსოფლიოს პატივისცემა; ღარიბი და დაჩაგრული ხალხის, პაპების, მეფეებისა და პრეზიდენტების დიდი სიყვარული და კეთილგანწყობა. ამიტომაც შეარქვა დედა ტერეზას ხალხმა „ღარიბთა წმიდანი“, „კალკუტის დედა“, „ქალი-ლეგენდა“, „დედა ტერეზა“ და სხვა.

ასევე, საყოველთაოდაა ცნობილი ის საქმიანობა, რომელსაც ეწევა მონაზვნების მისიონერთა ორდენი, ანუ დედა ტერეზას დების ორდენი. თბილისში ამჟამად ექვსი დაა: ფლორი, ბერტინი, მარიჯონი, ფრენცელი, რიკა და ტომასინა, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ, დიდი სიყვარულით ეხმარებიან ყველასგან მიტოვებულ, განწირულსა და გაჭირვებულ ადამიანებს. ისინი მუდმივად იცვლებიან (მათ მხოლოდ ხუთი წლით შეუძლიათ ერთ ადგილზე ცხოვრება), მაგრამ ლატაკებისადმი ყველას ერთნაირი დამოკიდებულება აქვს.


26 აგვისტო, დედა ტერეზას დაბადების დღე, დედა ტერეზას მღვდელთა ორდენის სახელით აღნიშნეს (მათ აღნიშნეს ასევე 5 სექტემბერი, მისი გარდაცვალების დღე, და დღე, როდესაც, მატარებლით მგზავრობისას, მას შემოესმა ზეციური ხმა, ეზრუნა ლატაკებზე).

ამ იუბილესთან დაკავშირებით, დედა ტერეზას სპეციალური სტენდი მოაწყვეს.

დედა ტერეზას იუბილე 29 აგვისტოს, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში აღინიშნა. დედა ტერეზა საზეიმოდ მორთეს დედა ტერეზას ხატი, რომელსაც თავყვანს სცემდა წირვაზე მოსული მრევლი. ნირვისთვის შესაფერისი გალობებიც თავად შეარჩიეს. მესას, რომელიც საზეიმო იყო, მაგრამ გამოირჩეოდა უბრალოებით, უძღვებოდა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო.

ნირვის ბოლოს, ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი დედა ტერეზას შესახებ, რომელიც ღრმადინარსიანი და ამაღლებელი იყო.

ფილმის დასასრულს, თავისი ემოცია ვერ დაფარა მაგლობელთა გუნდის ლობტარმა, ქალბატონმა კარინა ოსიპოვამ; „ფილმმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, აღნიშნა მან, – იგი გადაღებულია თანამედროვე სტილით, დოკუმენტური კადრები (სურათები, პეიზაჟები, ქალაქები, კონკრეტული ადამიანები) შერწყმულია მხატვრულ სურათებთან. ფილმი დიდი გემოვნებითა და ტაქ-



ტითაა გადაღებული. მოცულობით პატარა ფილმი დედა ტერეზას მღვდელთა ორდენის ცხოვრებას, მის დიად საქმეებს იტევს; მასში ასახულია ძირითადი მომენტები ამ არაჩვეულებრივი ქალის ბიოგრაფიიდან“.

P. S. მემამყება, რომ ეს ლეგენდარული პიროვნება – დედა ტერეზა – 1989 წელს საქართველოშიც ჩამობრძანდა, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და ზურაბ ნერეთლის დიდი ძალისხმევით შედეგად (ყველას მოეხსენება, კომუნისტების მმართველობის დროს წარმოუდგენლად ძნელი იყო დედა ტერეზას ჩამობრძანება). მისი სურვილი იყო, მოენახლებინა, ენუგეშებინა 9 აპრილს დაზარალებული ადამიანები და თანადგომა გამოეხატა მათთვის.

მიხარია, რომ საქართველოს საჯარო სკოლების მე-10 კლასის ახალი საგნის – „სამოქალაქო განათლების“ – სახელმძღვანელოში, ერთ-ერთ გაკვეთილში – „რა მსურს და რა შემიძლია“, გაშუქებულია წმ. ექვთიმე თაყაიშვილისა და ნეტარი დედა ტერეზას ღვაწლი.

და ბოლოს, ბედნიერი ვარ, რომ, მე, ცოდვილს, საშუალება მომეცა, ამ პატარა წერილით მოვფერებოდი მე-20 საუკუნის ამ ლეგენდარულ და სულმნათ ადამიანს და ჩემი დიდი მოწინება და სიყვარული გამოემხატა მისადმი.

ნადია ჩიტაძე

ხიზაბავრა

2010 წლის 11 ივნისს, ხიზაბავრის იესოს უწმიდესი გულის ეკლესიაში, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ სადღესასწაულო წმიდა ნირვა აღავლინა.

ნირვას მეც ვესწრებოდი. ჩემი წინაპრები წარმოშობით ხიზაბავრიდან არიან, ამჟამად კი ვცხოვრობთ გორის რაიონის სოფელ ვარიანში; ვარ მართლმადიდებელი. ჩემი სურვილი იყო, მომენახულებინა მამა-პაპათა მიწა. უკვე 45 წლისა ვარ და არასოდეს ვყოფილვარ იქ, თუმცა ექვსი წელი ვმუშაობდი მასწავლებლად სკოლაში, ხიზაბავრის მახლობლად. ეს აზრი მამა აკაკი ჭელიძეს, გორის კათოლიკური ეკლესიის მოძღვარს, გავუზიარე და ვთხოვე,

დამხმარებოდა სურვილის ასრულებაში. მამა აკაკიმ ოცნება შემისრულა და ხიზაბავრის ეკლესიის დღესასწაულზე წამიყვანა.

ხიზაბავრაში წინაპართა საცხოვრებელი ადგილები მოვიხსნე, გავიცანი ნათესავები და დიდი შთაბეჭდილებებით აღვსილი, რომელიც ღრმად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, დავბრუნდი გორში.

ჟურნალ „საბას“ საშუალებით, მიხდა, მადლობა გადავუხადო ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, მამა აკაკი ჭელიძეს და მამა პაატა ქომოშვილს, ყველა ხიზაბავრელს და იქ მყოფ ყველა სტუმარს, რომლებმაც დიდი სიყვარული და მონატრება მაგრძნობინეს.

მამუკა მამუკაშვილი

ვალეს ეკლესიის დღესასწაული



ცხოვრებაში მთავარია სიყვარული, და როდესაც გარდავიცვლებით, განვისჯებით არა რელიგიური კუთვნილების მიხედვით, არამედ იმით, თუ როგორ გვიყვარდა.

წმ. ნირვის დასასრულს, წმ. ნინოს ორდენის მონაზონმა მარი-ნოელმა მოგვითხრო თავისი მონოდების ისტორია. 1960 წლის 8 სექტემბერს მან დადო აღთქმა, რომ ემსახურებოდა ქრისტეს და დღეს – 2010 წლის 8 სექტემბერს საკუთარი თავის ქრისტესთან მიძღვნის 50 წლისთავს აღნიშნავს. ყველანი აღფრთოვანებულნი შევცქეროდით ჩვენი დის ბედნიერ სახეს.

მარი-ნოელმა ასე მიმართა მრევლს: „თითოეულ ჩვენგანს უფალმა მოუწოდა, ვიყო მასთან და ვემსახურო მას. არ არსებობს იესოსთან მისასვლელი ერთმანეთზე უკეთესი გზა. მთავარია, გავიგოთ, რას გვთხოვს უფალი და მის მოხმობას ვუპასუხოთ.“

თქვენს შორის მყოფთა უმეტესობამ უფლის მონოდება მიიღო ქორწინებაში: თქვენ გიყვართ მეუღლეები და შვილები, ემსახურებით მათ, როგორც შეგიძლიათ და ამით გამოხატავთ უფლისადმი მსახურებასა და სიყვარულს. ზოგი მონოდებულის, იცხოვროს იესოს მსგავსად, როგორც მწყემსმა, ეს არის მოძღვართა მონოდება. სხვათა მონოდება კი არის, უყვარდეთ ქრისტე და ემსახურონ მას რელიგიური ცხოვრებით.

მიხდა, ჩემი პირადი გამოცდილება გაგიზიაროთ: 16 წლისა კათოლიკური სკოლის მოსწავლე ვიყავი. ერთ დღეს მონაზონი მონოდების შესახებ გვესაუბრა: მთავარია, მთელი შენი ცხოვრება მიუძღვნა იესოს, გაჰყვე მას სხვებთან ერთად და ნახვიდე იქ, სადაც იგი გაგზავნის. „თუ ეს ის არის, რაც შენ ჩემგან გსურს, თანახმა ვარ, გამოგყვე და დაგეხმარო ამ სამყაროში“, – მივმართე ჩემს გულში იესოს.

როდესაც მშობლებს ჩემი გადანყვეტილების შესახებ ვესაუბრე, ძალიან გაუკვირდათ, რადგანაც მათ იცოდნენ, რომ მიყვარდა მეგობრებთან ერთად გართობა და სეირნობა.

როდესაც 19 წლის ასაკში სწავლა დავამთავრე, წ. ნინოს დებს მივმართე და 1960 წლის 8 სექტემბერს მონაზვნად აღვიკვეცე. მას შემდეგ 50 წელი გავიდა, სწორედ იმ დღეს დავდე პირობა, მეველო იესოს კვალდაკვალ, არ დავოჯახებულყავი, მეცხოვრა მისი სიყვარულით და მზად ვყოფილიყავი სხვათა მსახურებისთვის. სხვა მონაზვნებთან ერთად, დავინყე უბრალო ცხოვრება და ჩემი წინამძღვრის

მარიამ ღვთისმშობელი ყველა ქრისტიანის მფარველი დედაა, მისი შობის დღესასწაულს – 8 სექტემბერს მთელი კათოლიკური სამყარო დიდი ზეიმით აღნიშნავს, განსაკუთრებით კი ვალეს საკრებულო, რადგანაც ჩვენი ეკლესია სწორედ ღვთისმშობლის სახელზეა ნაკურთხი.

ეკლესიის ეზოში დილიდანვე უჩვეულო ფუსფუსი შეიმჩნეოდა. ტაძარი საზეიმოდ იყო მორთული ფერად-ფერადი ყვავილებითა და ჭრელი ლენტებით.

ბევრი სტუმარი გვეწვია სხვადასხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან; მრავლად იყვნენ მღვდლები და მონაზვნები, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო მისი მალაყოვლადუსამღვდელოესობის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის ჩამობრძანება.

ეკლესია მორწმუნეებით იყო სავსე. წმ. ნირვა „ავე მარიას“ გალობით დაიწყო. სიტყვები, რომლებიც მთავარეპისკოპოსმა ქადაგებისას წარმოთქვა, გულში ჩამწვდომი და შთამბეჭდავი იყო. მან ჯერ მამა ზურაბ კაკაჩაშვილის შესახებ ისაუბრა, და აღნიშნა, რომ ის ჩვენი სოფლის შვილია, იგი აქ ყველას იცნობს და მასაც იცნობენ, რომ მან ყველაზე უკეთ იცის სოფლისა და მისი მოსახლეობის აკარგი. შემდეგ მეუფე შეეხო რწმენის საკითხს და აღნიშნა, რომ რწმენა არის ის ძირითადი ფასეულობა, რამაც ჩვენ დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა, და არა მოღური კაბა, რომ მოდიდან გადავიდეს და გამოიცვალოს. ადამიანის

მიერ მოცემულ დავალებებს პირნათლად ვასრულებდი.

როგორ ვიცხოვრე? რას ვაკეთებდი ამ წლების განმავლობაში? ან, უბრალოდ, როგორ ვცხოვრობ ყოველდღე? ვცდილობ, ვიცხოვრო ქრისტესთვის, ვილოცო მისთვის და ვემსახურო მას. ვცდილობდი, მომესმინა ახალგაზრდებისა და მოზრდილებისთვის, აღმეზარდა ისინი, გვერდში ამოვდგომოდი მათ, დავხმარებოდი თავიანთი სურვილების ასრულებაში, ღმრთის უკეთ გაცნობასა და მისადმი მსახურებაში. გავიცანი მრავალი ადამიანი და მათგან მივიღე დიდი გამოცდილება, რომელიც დამეხმარა რწმენის საკითხებში. საქართველოშიც იმ სურვილით ჩამოვედი 2007 წელს, რომ სხვებისთვის ჩემი სახარებისეული ცოდნა გადამეცა, გამეზიარებინა გამოცდილება, რაც ამ წლებში მივიღე. მიხდა, თქვენთან ერთად გავიარო იესოსკენ მიმავალი გზა; დაგეხმაროთ, რათა უკეთ შეიცნოთ უფალი, გიყვარდეთ იგი და ემსახუროთ მას. სწორედ ამას აკეთებდა წმ. ნინო ჯერ კიდევ საუკუნეების წინ და იგი არის ჩვენი ნიმუში და მასწავლებელი. მიენდეთ ქრისტეს და ის ყველაფერს ისე კარგად და ლამაზად გააკეთებს, რომ ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ“.

ჩვენი მრევლის ხუთმა პატარა გოგონამ მარი-ნოელს მიულოცა მონაზვნობის 50 წლისთავი და მრევლის სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ მარი-ნოელს



თავის მშობლიურ ენაზე (ფრანგულად) მიულოცა ეს ღირსშესანიშნავი დღე.

მთავარეპისკოპოსმაც მიიღო ვალელებისგან სამახსოვრო საჩუქარი, რაზედაც მან გულთბილი მადლობა გადაგვიხადა.

წმ. ნირვის შემდეგ, სტუმარ-მასპინძლებმა ერთად გადავინაცვლეთ საზეიმო სუფრაზე.

ღვთისმშობელი გვფარავდეს მრავალჟამიერ.

თამარიკო ჩიტაშვილი

შენი მადლით განგვახლოვ, უფალო!

2010 წლის 17 აგვისტო სამშაბათი დღე იყო; ზაფხულის მცხუნვარე მზე უხვად აფრქვევდა სხივებს არემარეს, მაგრამ გრილი ნიავი ქროდა და აგვისტოს გაუსაძლისი სიცხე ისე ძალუმად არ იგრძნობოდა.

ქრისტემ მოგვიხმო ახალგაზრდები თავისი სიტყვის მოსასმენად და ეს ჩვენთვის დიდი საჩუქარი იყო. და აი, ამ მოხმობის პასუხად, წმ.პეტრე და წმ. პავლე მოციქულის თბილისის კათოლიკური ეკლესიის, ქუთაისის, არალის, ვალეს, ბათუმის, აბასთუმნის და მარიაშის ზეცად აღყვანების ეკლესიების ახალგაზრდები ორპირში შევიკრიბეთ. ჯგუფი შედგებოდა მინისტრანტების (ვაჟები), მგალობელთა გუნდის წევრების, კატეხისტებისა და აკოლიტებისაგან.

შეხვედრის მიზანი იყო, განგვახლოვინა და უკეთ შეგვესწავლა ის საკითხები, რომელიც უშუალოდ წმ. ნირვას უკავშირდება. შეხვედრას უძღვებოდა ხიზაბავრის ეკლესიის მოძღვარი, მამა პაატა ქომოშვილი, რომელიც მეტად სათნო, ღვთისმოსავი, თავადაც ახალგაზრდა, ახალგაზრდების დიდად მოსიყვარული, კეთილი და განათლებული პიროვნებაა. მან ზუსტად იცის, რისთვისაცაა მონოდებულები და სხვებსაც ეხმარება საკუთარი მონოდების გაცნობიერებაში. მამა პაატა ძალზედ ვრცლად და დეტალურად გვიხსნიდა ლიტურგიასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, თვით უმცირეს წვრილმანსაც კი, რომ სახარების საკითხავები, ქადაგება, გალობა უნდა შეესაბამებოდეს საეკლესიო კალენდარს. ამის ცოდნა აუცილებელია ყველა მორწმუნისათვის, განსაკუთრებით კი წმ. ნირვაში მონაწილე წევრებისათვის.

ხუთშაბათ დილით მამა გაბრიელე ბრავანტინი გვეწვია და ექვარსტიაზე გვესაუბრა: როცა იესო ქრისტე ტრაპეზზე ცოცხლად შეინიერება მღვდლის მეშვეობით, ამ დროს ხდება პურისა და ღვინის გარდასახვა იესოს ხორცად და სისხლად. საიდუმლო სერობის ღამეს, ქრისტემ დატეხა პური, მადლი შესწირა, მისცა თავის მონაფეებს და უთხრა: „ეს

ჩემი სხეულია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად“ (ლუკ. 22, 19). ასევე, მისცა სასმისი მონაფეებს და უთხრა: „ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში, თქვენთვის რომ იღვრება“ (ლუკ. 22, 20). ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და მთავარი მომენტი მორწმუნისათვის და მას უნდა შეეხვედეთ სიჩუმითა და თავყანისცემით. ნირვის დანყებად, ამ მომენტისათვის სათანადოდ უნდა მოვემზადოთ, რათა ქრისტე შემოვიდეს ჩვენში.

პარასკევს, მამა პაატას ინიციატივით, ექსკურსია მოვანყვეთ გელათის, მე-12 საუკუნის უძველესი ქრისტიანული ძეგლის, მოსალოცად. ჩვენდა საბედნიეროდ, იმჟამად გელათში ისტორიკოსი ამირან ლევიძე იმყოფებოდა. მან დანერვილებით გვიამბო გელათის ტაძრისა და ფრესკების ისტორია, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გელათის მონაზულების შემდეგ, მონამეთაში გავემგზავრეთ და დავათვალიერეთ წმ. მონამეების, დავითისა და კონსტანტინეს სახელობის ტაძარი, რომელიც მე-11 საუკუნეშია აგებული და ბრწყინვალე არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს. ტაძარი ხატებითა და ფრესკებითაა დამშვენებული. მუხლი მოვიყარეთ და ვილოცეთ იმ ადგილზე, სადაც კონსტანტინესა და დავითის წმიდა სხეულებია დაკრძალული.

ამავე დღეს, ორპირში დაბრუნების შემდეგ, ჯგუფებს შორის ჩატარდა რელიგიური ვიქტორინა, სადაც საპატიო, მეორე ადგილი ჩვენს გუნდს ხვდა წილად.

ისე სწრაფად გავიდა ხუთი დღე, ვერც კი ვიგრძენით, რომ შინ დაბრუნების დრო დამდგარიყო. ძალიან გვწყდებოდა გული, ერთმანეთს რომ ვმორდებოდით, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში შევეჩვიეთ ახალ მეგობრებს და განშორება გვიჭირდა.

დავტოვეთ ღამაზი ორპირი იმ იმედით, რომ მალე კვლავ დავბრუნდებით იქ და ახალ მეგობრებსაც შევიძინებთ.

მაია ანთიქა

1439 წლის კრაზის გამოქანული დღეპანდელ საზოგადოებაში კათოლიკეებთან დიალოგის თვალსაზრისით

ფლორენციის რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისტორიული გაუგებრობა გადალახა

ახალგაზრდა და აქტიური მღვდელმთავარი ვლადიმირ ლევიცკი დაახლოებით 1878 წელს ჩაივიდა ფლორენციაში და მდინარე არნოს სანაპიროზე დასახლებულ რუსულ არისტოკრატიულ წრესთან დაიწყო მსახურება; მას იმთავითვე მყარად განსაზღვრული ჩანაფიქრი ჰქონდა: დაერწმუნებინა ფლორენციის კარზე მყოფი რუსეთის დესპანი, რომ ქალაქში მართლმადიდებლური ეკლესია აეგოთ. „აქ მართლმადიდებლობამ მძიმე დარტყმა განიცადა ფლორენციის ცნობილი უნიით და ერთი დიდებული რუსული ეკლესია უნებურად ჩადენილი ცოდვის საუკეთესო გამოსყიდვა იქნებოდა“, – წერდა თხოვნის წერილში მღვდელი. „სირცხვილი“ კი, რომელიც ტოსკანას რეგიონის ქალაქს შავ ლაქად გასდევდა და რისი ჩამორეცხვაც მამა ლევიცკის სურდა, გახლდათ ფლორენციის 1439 წლის კრება. ანუ ეს იყო პერიოდი, როდესაც კონსტანტინოპოლში, განსაკუთრებით თურქეთის მუქარის ფონზე, იმპერატორი (იოანე VIII პალეოლოგი), აღმოსავლეთის პატრიარქი (იოსები) და პაპი (ეგვინიუს IV) ერთობლივად ცდილობდნენ ქრისტიანთა შორის ერთობის ხელახლა დამყარებას, ერთობისა, რომელიც 1054 წლის სქიზმით შეწყდა. შეხვედრას მიზნად ჰქონდა, შეესწავლა ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგია საერთო მტრის წინააღმდეგ და გადაერჩინა არა მხოლოდ იმპერატორის ძალაუფლება, არამედ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის ქრისტიანობაც. ბენეციო გოძოლი, ხუთასიან წლებში მოღვაწე მხატვარი, მედიჩების სასახლის კედლებზე შესრულებულ ერთ-ერთ დიდ ფრესკაზე, ამ მოვლენის მნიშვნელობას ღირსეულთა და კავალიერთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით გამოსახავს, და იქვე, ამ სამ ძლიერ ფიგურას, როგორც სამ მოგვს, ისე წარმოადგენს.

ფლორენციის შეთანხმება მიღწეულ იქნა წერილობით, მაგრამ კრებამ პოპულაციის დონეზე მარცხი განიცადა. სხვადასხვა ეკლესიების მორწმუნეები ამ კავშირის ყოველგვარ მცდელობას უარყოფდნენ. მართლმადიდებლებს არ სურდათ რომის ეკლესიასთან სიახლოვე, რადგან მას ბრალს სდებდნენ ერთპიროვნულად წესების კარნახში. მარკოზ ეფესელი ერთადერთი ბიზანტიელი მიტროპოლიტი გახლდათ ფლორენციის კრებაზე, რომელმაც ხელი არ მოაწერა ეკლესიათა ერთობის დოკუმენტს. მისმა პოზიციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მართლმადიდებლურ სამყაროში. ეფესოში დაბრუნებული მარკოზი დააპატიმრეს და ის მალევე გარდაიცვალა. დღეს იგი მართლმადიდებელი ეკლესიის, მათ შორის რუსეთის, მიერ წმიდანად არის შერაცხული.

უცნობია, დააკმაყოფილა თუ არა რუსეთის დესპანმა და მეფე ნიკოლოზ II-მ მამა ლევიცკის თხოვნა ეკლესიის აგების შესახებ, მაგრამ ფლორენციაში აგებული ბაზილიკის აბსიდზე წმ. მარკოზ ეფესელს საპატიო ადგილი უკავია. მასთან ერთად, ფრესკებზე გამოსახულია წმიდა პატრიარქი ფონციუსი და მართლმადიდებლობის სიმნიშვნის დამცველი, სქიზმამდელი პერიოდის ზოგიერთი პაპი. რუსული ბაზილიკა ფლორენციაში, ულამაზეს ბაღშია ჩაფლული, საიდანაც მოჩანს ცისფერი, მწვანე და თეთრი მაიოლიკით მორთული, მოოქროვილი ჯვრებით დამშვენებული მისი ხუთი გუმბათი. იმ დროს შეუძლებელი იყო სამრეკლოს აღმართვა, რადგანაც ზარების რეკვა, რომაული კათოლიკური ეკლესიის გარდა, ყველა ეკლესიას ეკრძალებოდა. ბაზილიკა, ჩრდილოეთ რუსეთის ეკლესიებისთვის დამახასიათებელი ტიპოლოგიის მიხედვით, ორი, ზედა და ქვედა, ეკლესიისგან შედგება; ზედა ეკლესია ქრისტეს შობის, ხოლო ქვედა – წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზეა აგებული (მისმა არქიტექტორმა, მიხეილ პრეობრაჟენსკიმ იგივე

კრიტიკურად ააგო სანკტ-პეტერბურგის აღდგომის კათედრალი). იდეა ძალზე პრაქტიკული გახლდათ: „საზაფხულო“ – ზედა ეკლესიას გამოიყენებდნენ სააღდგომო დღესასწაულებებისთვის, ქვედა კი ზამთარში უფრო ადვილად გაათბობდნენ.

ფლორენციაში საეკლესიო სამუშაოები 1899 წლის 11 ივნისს დაიწყო. მეფე ნიკოლოზ II-მ ზედა ეკლესიას სახსოვრად მარმარილოს იკონოსტაზი უძღვნა; ხოლო დემიდოვების „ფლორენციულმა“ ოჯახმა ქვედა ეკლესიას ხატები და ფლორენციული ჭედურების დიდებული ნიმუში, ხის უძვირფასესი კარები უსახსოვრა, რომელიც „საზაფხულო“ ეკლესიას გადაეცა. ბაზილიკა, რომელიც 1903 წელს აკურთხეს და გახსნეს, საიმედო თავშესაფრად იქცა ჯერ 1917 წელს, დევნილ რევოლუციონერთათვის (ლეონ X-ის ქუჩა), სადაც ბაზილიკა აგებული, იმ წლებში „ემიგრანტების ქუჩა“ ეწოდებოდა. ნაგებობა ეკუთვნის ევროპაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიების მთავარ საეპისკოპოსოს, რომლის ცენტრიც პარიზშია.

1997 წლიდან საკრებულოს მოძღვარი გახლავთ მამა გეორგი ბლატინსკი, იგი რუსულ რიტუალს მისდევს, რადგანაც, როგორც თავად ამბობს, რუსები მრევლის უმრავლესობას შეადგენენ, თუმცა აქ არიან უკრაინელები, მოლდაველები, ბელორუსები, ქართველები, მაგრამ მათ უძნელდებოდა ძველ სლავურ ენაზე აღსრულებული ნირვის გაგება. „ეკლესიაში კვირადღეობით დაახლოებით ხუთას ორმოცდაათამდე მორწმუნე გვყავს, – ამბობს მამა ბლატინსკი, – ხოლო შემოდგომით ვამზადებთ ლიტურგიას იტალიურ ენაზე, რითაც ჩვენს ოფიციალურ ენას ვცვლით. რუსებს, ასეა თუ ისე, შეუძლიათ ძველი სლავურის გაგება, მაგრამ სხვა ერის მორწმუნეებისთვის იგი განსხვავდება მათი მშობლიური ენისაგან“.

მამა ბლატინსკიმ თავისი ჩამოსვლით რუსული ბაზილიკის სასულიერო ცხოვრების ტრადიციები გააგრძელა. მანამდე კი აქ, ნიცას ბაზილიკის, ან სხვა რუსული მართლმადიდებლური ცენტრების პასუხისმგებლები ჩამოდიოდნენ და ისიც მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე. „ჩვენ უძველესი რიტუალთა ვსარგებლობთ, ისეთივეთი, როგორც იყო იოანე ოქროპირისა და წმიდა ბასილის ლიტურგია“, – გვისსნის მამა ბლატინსკი. კვირის ნირვა მხოლოდ შაბათ საღამოს იწყება და მას მოსდევს საკვირაო დილის ნირვა. „არანაირი ცვლილება არ შეგვიტანია, – დასძენს მამა, – ბოლშევიკურმა პერიოდმა ჩვენი დრო შეაჩერა, მაშინ მხოლოდ თვითგადარჩენაზე ვფიქრობდით; ახლა რიტუალი ძალზე ლამაზად და მოწინებით სრულდება. გალობა ლიტურგიის ნამყვანი ნაწილია და ესეც ითხოვს თარგმანას“. გუნდი ძირითად ელემენტია და მისი ხელმძღვანელი, რუსული რიტის ეკლესიებში, სშირად გავლენიანი ფიგურაა, რომელიც აქტიურად ერევა როგორც საეკლესიო ცხოვრებაში, ასევე საკრებულოს მართვაშიც.

„კათოლიკეებთან შესანიშნავი კავშირები გვაქვს, – დასძენს ბაზილიკის წინამძღვარი, – მათი დახმარების გარეშე, ვერ შევინარჩუნებდით და ვერ განვაახლებდით ამ ეკლესიას, ვერც ახალ ემიგრანტებს გაეუნვედით მატერიალურ დახმარებას. ის, ვინც რუსეთის, ან ყოფილი საბჭოეთის რეგიონებიდან ფლორენციაში ჩამოდის, სამუშაოს ძიებაშია და ძლივს ირჩენს თავს. „კარიტასიც“ და სხვა ორგანიზაციებიც დიდად ზრუნავენ მათზე, მაგრამ ისინი ყველასგან ელიან დახმარებას“.

მას შემდეგ, რაც მღვდელმთავარმა ლევიცკიმ წერილით მიმართა ფლორენციის დესპანს, არნოს სიდიდებზე მრავალმა წყალმა ჩაიარა. საბოლოოდ, ფლორენციაში შედგა კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შორის დიალოგი, რადგან ამას საჭიროებს ერთობისკენ მიმავალი გზა.

ელისაბედ ბალეფი
(© L'Osservatore Romano – 19 აგვისტო, 2010)

მამა მათეო რიჩი (1552-1610): „ზეციურ იმპერიაში“ მოღვაწე იეზუიტი



„ჩვეული, ხალისიანი განწყობით, საწოლზე ჩამომჯდარმა, ღრმა სიმშვიდით, წყნარად და უმოძრაოდ, მძინარესავით, ან თითქოს განჭვრეტის წუთებში მყოფივით თვალმინაბულმა, სამშაბათს, თერთმეტ მაისს (1610 წ.), საღამოსპირს, შვიდ საათზე მიაბარა სული თავის შემოქმედს, მანამდე კი ქრისტეს ჯვარცმას და ჩვენი ნეტარი მამა ეგნატეს ხატს ეამბორა“, – ასე აღწერდნენ იეზუიტი მამის მათეო რიჩის სიკვდილს პეკინში.

მისი გარდაცვალებიდან 400 წლის შემდეგ, ოქტომბრის თვეში, ანუ მისიონერულ თვეს, ჩვენც გავიხსენოთ ეს დიდი მისიონერი.

რედაქცია

ზოგჯერ გამოჩენილ ადამიანთა სახელი ისტორიის ჩრდილქვეშ ექცევა. მათ რიგებში უსათუოდ დგას მათეო რიჩი, შედარებით ცნობილი ჩინეთში, ვიდრე

სხვაგან. ჩინეთში მისი საფლავი სხვადასხვა პერიოდში სამჯერ დაარბიეს და სამჯერვე აღადგინეს (უკანასკნელად ათი წლის წინ, მათს ნითელი ბრიგადის კულტურული რეველუციის შემდეგ); მისი სახელი იმ მცირერიცხოვან უცხოელთა შორისაა, რომლებიც ჩინური აზროვნების მონუმენტურ მატრიანეში მოხვდნენ, და რომელთაც ამ წიგნის ორი უზარმაზარი თავი ეძღვნება. ჟურნალი „LIFE“ მას II ათასწლეულის ყველაზე ცნობილ ას პიროვნებას შორის მოიხსენიებს. მისი სახელი უწოდეს ასევე მთვარის ერთ კრატერს. მათეო რიჩის ფიგურა, – მეორე დიდ იტალიელთან, მარკო პოლოსთან ერთად, – პოლიქრომულ მარმარილოს ფრიზზეა ამოკვეთილი პეკინის „Millenium Centre“-ში, სადაც ამჟამად ჩინეთის კომუნისტური პარტიის სხდომები იმართება. XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს, მათეო რიჩის პერსონა ამ აზიური ქვეყნის ძირითად თემად იქცა.

ცხოვრება

მათეო რიჩი დაიბადა მაჩერატაში (იტალია), 1552 წლის 6 ოქტომბერს (სწორედ იმ წელს, როდესაც სანჩიანოში გარდაიცვალა ფრანცისკე ქსავერიო, რომელმაც ვერ აიხდინა თავისი ოცნება: წასულიყო „ზეციურ იმპერიაში“). იგი სამი წლის მანძილზე ეუფლებოდა იურისპრუდენციას (1568-71 წწ.), ხოლო 1572 წლის 15 აგვისტოს რომის იეზუიტთა სემინარიაში შედის. რომის კოლეჯში იგი ეუფლება ფილოსოფიისა და რიტორიკის საფუძვლებს, ასევე მათემატიკას, ასტრონომიას, კოსმოგრაფიას და სხვა მეცნიერებებს, ცნობილი გერმანელი მეცნიერის, მამა ქრისტეფორე კლავიოს ხელმძღვანელობით, რომლის სახელიც უკავშირდება ე.წ. გრიგორიანული კალენდრის რეფორმას (1572-77 წწ.). ინდოეთის პორტუგალიურ ბაზაზე, კერძოდ კი, გოაში ჩასული (1578) მათეო რიჩი ჩინურის შესწავლას იწყებს. მაკაუში, ჩინეთის სამხრეთ სანაპიროზე, იგი ხვდება კიდევ ერთ დიდ იეზუიტს, მამა მიქელე რუჯერის. 1583 წლის სექტემბრიდან, რიჩი და რუჯერი ჟაოჩინგში (გუანგდონგის პროვინცია), ადგილობრივ ინტელექტუალთა შორის კეთილგანწყობას მოიპოვებენ და მათში ინტერესს გააღვიძებენ ისეთი ევროპული საგნების მი-

მართ, როგორცაა მსოფლიო რუქა, საათი და სხვა. ისინი მოიპოვებენ უფლებას, რომ ქალაქში ააგონ საცხოვრებელი სახლი და ქალწულ მარიამისადმი მიძღვნილი ეკლესია „Fior dei Santi“ – „წმიდათა ყვავილი“.

მათეო რიჩი ჟაოჩინგში თავის შესვლას და მთავრობის სასახლეში მიღებას ასე აღწერს: „*მამები დიდი სულგრძელობით იქნენ მიღებულნი;... გუბერნატორმა მათ გამოჰკითხა, თუ ვინ იყვნენ, საიდან იყვნენ და რა სურდათ; მათ უპასუხეს, ... რომ სასულიერო პირები იყვნენ... ისინი მოხიბლულნი დარჩნენ ჩინეთის მთავრობის კეთილგანწყობით და მხოლოდ ადგილის გამოყოფა ითხოვეს, სადაც პატარა სახლს და სამლოცველოს ჩადგამდნენ... და თავიანთ ღმერთს სიკვდილამდე ემსახურებოდნენ*“. ამ უბრალო სიტყვებში მთელი მათი პროგრამა იდო. მისიონერული საქმიანობის პირველი ნაბიჯები ნელა და დიდი სიფრთხილით იდგმებოდა.

რიჩი თავის სამოციქულო საქმეს ორ ძირითად პუნქტად ჰყოფდა: კულტურა და ქველმოქმედება. ორივე იეზუიტი, მათეო რიჩი და მამა მიქელე რუჯერი, ინყებს ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებას ჩინელ ინტელექტუალთა შორის და, მათივე კონტაქტების წყალობით, მის გავრცელებას. 1584 წლის დეკემბერში ჩინურ ენაზე იბეჭდება რუჯერის მიერ შედგენილი და ფუჯიანის (იგი იმავე წელს მოინათლა) მიერ ჩინურად გამართული მოკლე კატეხიზმო. Tianzhu Shilu, ანუ *მოკლე კატეხიზმო*, პირველი ბეჭდური წიგნია, რომელიც ჩინეთში გამოიცა. თავდაპირველად, მისი ტირაჟი 1200 იყო, რაც შემდეგ გაიზარდა. რიჩი ამ პერიოდში ადგენს მსოფლიო რუქას ჩინურ ენაზე და მასზე მომდევნო წლებშიც აგრძელებს მუშაობას; ჟაოჩინგში მათ მრავალი სირთულე და დაბრკობა ხვდება, მათ შორის, ახალგაზრდა ლიტერატორების შემოტევა, ცილისწამება და სასამართლოზე გადაცემა. 1589 წლის აგვისტოში რიჩი და მისი მეგობრები ჩინეთიდან გააძევეს, მათ თავი მაკაუს შეაფარეს, მაგრამ მალევე მიიღეს უკან დაბრუნების ნებართვა, ამჯერად უკვე გუანგდონგის პროვინციის ჩრდილო ნაწილში საცხოვრებლად.

რიჩი და რუჯერი, როგორც სასულიერო პირები, ანაფორით იმოსებოდნენ, მაგრამ ჩინეთში დიდად არ უნევენ ანგარიშს ამ სამოსს. ქალაქში რიჩი უარს ამბობს ანაფორის ჩაცმაზე და ადგილობრივ ჩაცმულობასა და ეტიკეტს მიმართავს. ჩინელების წინაშე იგი წარდგება, როგორც „დასავლელი თეოლოგი, მქადაგებელი და სწავლული“. ის ცდილობს, საკუთარი ცხოვრება ადგილობრივ სწავლულთა ყაიდას მოარგოს. ასე შეითვისა რიჩმა მათთვის დამახასიათებელი სამოსი, და, ბუნებრივია, მათი

საგანგებო ჩანართი

მანერებიც და შინაგანი განწყობაც გადაიღო; მოიზარდა წვერი და თმა, რასაც ადრე არ აკეთებდა. ქალაქის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაადგილებლად პატარა ურიკით სარგებლობდა, რომელსაც ორი ან სამი მონა მიაგორებდა. ამ პერიოდში მან შექმნა მცირე ტრაქტატი *„მეგობრობა“* და ატლასი ტექსტებით. **1595** წელს, ნანკინოში თავისი პირველი ვიზიტის დროს, რიჩი აარსებს ნანჩანგის რეზიდენციას, **1598** წელს კი პეკინამდე მოგზაურობს. ჩინეთში ცხოვრების თექვსმეტწლიანმა გამოცდილებამ იგი დაარწმუნა, რომ შეუძლებელია მისიონერული მუშაობა ქრისტიანობის გავრცელების გარეშე. იგი აცნობიერებს, რომ ამ მიზნის მისაღწევად პეკინის სამეფო კარზე წარდგომა იყო საჭირო. სწორედ ამის საშუალება მიეცა რიჩს **1598** წელს, როდესაც მისმა მეგობარმა, ნანკინოს რიტუალების მინისტრმა, რომელიც პეკინში უნდა გამგზავრებულიყო, ჩინური კალენდრის გადამონშების მიზნით, ისურვა, თან წაეღო დასავლური კალენდარი, რომელიც მათემატიკური მეცნიერების პრინციპზე იყო აგებული. პეკინში რიჩი **1598** წლის 7 სექტემბერს ჩავიდა, ერთობ სახიფათო მოგზაურობის შემდეგ. იგი დედაქალაქში ცოტა ხნით დარჩა, რადგანაც, ჩინეთ-იაპონიის ომის გამო, იქ ცუდი თვალით უყურებდნენ უცხოელებს. რიჩმა გადაწყვიტა, ნანკინოში დაბრუნებულიყო და უკეთეს დროსა და ხელსაყრელ პირობებს დალოდებოდა, რაც დადგა კიდეც **1599** წლის 6 თებერვალს.

ხანგრძლივი მოგზაურობის დროს, როცა რიჩი ერთ თვეზე მეტხანს იმყოფებოდა პეკინიდან ლინგინგში მიმავალ გემზე, მან სრულყო თავისი პორტუგალიურ-ჩინური ლექსიკონი, რაზეც უკვე წლები მუშაობდა (რომელიც პირველი სინოლოგიური ნაშრომია); აქვე დაასრულა კონფუციანური „ოთხწიგნეულის“ ლათინური პარაფრაზირება. ნანკინოში იგი პატივისცემით მიიღეს, რამაც მას გაუადვილა, გაება მეგობრული კავშირები იმპერატორის კარზე და კულტურის წარმომადგენლებთან. იგი მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე რეგულარულად კითხულობს ლექციებს დასავლური მეცნიერების შესახებ. მასზე ბევრს საუბრობენ ჩინეთის ინტელექტუალთა წრეებში. ისიც დროს არ კარგავს და რელიგიაზე საუბრობს. მეგობრების რეკომენდაციით, **1600** წლის **19** მაისს, იგი მიემგზავრება პეკინში, სადაც ჩავა **1601** წლის **24** მაისს და, სასახლის კარზე მირთმეული ძღვენის წყალობით, საბოლოოდ იქ დამკვიდრდება. იმპერატორი პირადად ინტერესდება მისი პიროვნებით და აძღვეს მას ეკლესიის აგების ნებართვას, უფრო მეტიც, ყოველმხრივ ეხმარება მას. რიჩს ხშირად იწვევენ საიმპერატორო კარზე. ვიზიტებს ახშირებენ ყველაზე პატივსაცემი კასტის, **მანდარინების** წარმომადგენლები, რომლებიც მას უკვე არა „უცნაურ უცხოელად“, არამედ საპატიო მოძღვრად აღიარებენ და თავიანთ სწორად და ტოლად მიიჩნევენ.

იმაზე, თუ როგორ იყო მათეო რიჩი მიღებული ჩინეთში, მეტყველებს ის ფაქტი, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ მოხდა პეკინში, **1610** წლის 11 მაისს. ჩინური ტრადიციით, ყველა უცხოელი, რომელიც დედაქალაქში გარდაიცვლებოდა, არ უნდა დაეკრძალათ იქ, მაგრამ, მისი ღვანლისა და ამაგის, და იმ წლების გათვალისწინებით, რაც დიდმა მისიონერმა დაჰყო საიმპერიო ქალაქში, იმპერატორი დათმობაზე წავიდა. *უძველესი დროიდან*, – განაცხადა მან, – *ერთი უცხოელიც კი არ გვინახავს, სავსე მეცნიერული ცოდნით, და ისეთი სათნოებითა და სიყვარულით გამსჭვალული ჩინელების მიმართ, როგორიც მათეო რიჩი იყო*“.

ნაშრომები

მისიონერული მოღვაწეობის გარდა, მამა რიჩი ჩინურ ენას უღრმავდებოდა, თარგმნიდა და წერდა ჩინურად მათემატიკურ, ასტრონომიულ და კოსმოგრაფიულ საკითხებზე, ამასთანავე, იგი სიფრთხილითა და დაკვირვებით მიუდგა ჩინელთა ასტრონომიულ შეხედულებებს და მათ გეოგრაფიულ ცოდნას, რადგანაც, როგორც თავად აცხადებდა: *„არ შეიძლებოდა იმ დროს ამაზე მეტი სასარგებლო რამ მიგვენოდებინა ჩვენს რელიგიაზე მოქცეულ ჩინელთა სულებისთვის“*. მართალია, იგი მოხიბლული იყო ჩინეთით, მაგრამ აღიარებდა, რომ ჩინელებმა არ იცოდნენ ის, რისი გადაცემაც მათთვის მას შეეძლო. **1595** წლიდან იგი შეუდგა მეცნიერული და რელიგიური წიგნების შედგენას: მისი ნაშრომები, რასაც დიდი აღტაცებითა და დაფასებით ხვდებოდნენ, ესებოდა კარტოგრაფიას, მათემატიკას, მორალურ ფილოსოფიას, თეოლოგიას და აპოლოგეტიკას. მეცნიერული ნაშრომებიდან აღსანიშნავია დიდი ჩინური რუკა (ზომა: **3,75X1,80**); „ქუჯიანგი“ სრულყოფილად პირველად გამოიცა ნანკინსა და პეკინში, ხოლო **1607** წელს – მეექვსედ. თავად იმპერატორი იმდენად იყო აღფრთოვანებული მისით, რომ **1608** წელს ხელახლა დააბეჭდვინა და **12** ასლი მოითხოვა თავისთვის. ამჟამად, ჩინური მსოფლიო რუკები დაცულია პეკინში, ლონდონში და ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკაში. რიჩმა ამ რუკაზე იმ დროისათვის აღმოჩენილი კონტინენტები და კუნძულები გამოსახა. ამდენად, ჩინელებისათვის ცნობილი გახდა მრავალი ახალი და შორეული ქვეყნის არსებობა, და თავად ევროპისაც. ძირითადი გეოგრაფიული ადგილების სახელებს გვერდით ისტორიული შენიშვნებიც გაუკეთა; მაგალითად, „იუდეას“ სახელს მიუწერა: *„ამ ქვეყანაში ზეციურმა უფალმა შეისხა ხორცი, ამიტომაც უწოდებენ მას წმიდა მიწას“*. „იტალია“ გვერდით მიანერა: *„აქ არის ხალხთა მეფე (პაპი),...მას ყველა აღნიშნული ევროპული ქვეყანა ეთაყვანება, რომლებიც რომაულ იმპერიას ქმნიან“*. ეს მოკლე ჩანაწერი ჩინელებს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის რომის პონტიფექსზე. მსოფლიო რუკა, გარდა იმისა რომ ქრისტიანულ რელიგიას აცნობდა ჩინელებს, იგი ასევე მათი გონებიდან იმ ცრუ შეხედულებებს შლიდა, რის მიხედვითაც ყველა არაჩინელი „ბარბაროსად“ იყო მიჩნეული. **1607** წელს დაიბეჭდა „ათი პარადოქსი (*Qiren Shipian*), მორალური ხასიათის ნაშრომი; ჩინურად ზუსტად ასე უღერის ეს სათაური: *„ათი თავი უცნაური ადამიანის შესახებ“*. უცნაური ადამიანი ეს თავად რიჩია, რომელსაც ჩინელებს ასეთად თვლიდნენ; ამაში დიდ როლს ასრულებდა არა მარტო მისი ევროპული ხასიათი და ფიზიონომია, არამედ მისი სასწაულებრივი მეხსიერება, ცელიბატი და დიდი ღვთისმოსაობა. ეპითეტი „უცნაური“ კეთილმოსურნეობას გამოხატავდა ჩინელებისთვის, რომლებიც მასში ქარაგმულად კონფუციის ცნობილ ფრაზას ხედავდნენ: *„უცნაური ადამიანი ადამიანებისთვის, მაგრამ მსგავსი ღვთისა“*; ათ თავში ციტირებულია მაქსიმები, ამონარიდები დასავლელი ფილოსოფოსებისა და ქრისტიანი მამების ნაშრომებიდან, საღვთო წერილიდან, რაც ქრისტიანთათვის სრულიად მისაღები, მაგრამ ჩინელებისთვის ნამდვილი პარადოქსი იყო. მაგალითად, ასეთი ფრაზები: *„კარგია მუდმივად სიკვდილზე ფიქრი“*; *„გაგვაკეთილშობილებს საკუთარ ბრალზე დაფიქრება“*; *„უბედურია ძუნწი მდიდარი, ბედნიერი შეიძლება იყოს ღატაკი მათხოვარი“*. მოკლედ, წიგნი ძალიან მოეწონათ და მან დიდი როლი ითამაშა ჩინელ სწავლულთა მხრიდან „დასავლელი ლიტერატორების“ მიმართ

პატივისცემაში. **1603** წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაიბეჭდა (მანამდე ხელნაწერებად ვრცელდებოდა) ნაშრომი *„ღვთის გონივრული კონცეფცია“ (Tianzhu Shiyi)*. რიჩი, უკუაგდებს რა პანთეისტურ მონიზმს, რაც ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ ჩინელ ლიტერატორთა შორის, და მეტემფსიქოზის (იგივე რეინკარნაციის) მოძღვრებას, ფილოსოფიური არგუმენტებითა და ჩინელ კლასიკოსთა ავტორიტეტით წარმოაჩენს ღმერთს, როგორც წუთისოფლის ყოველი ქმნილების შემქმნელსა და მმართველს. აჩვენებს ადამიანის სულის უკვდავებას და მის განსხვავებას ცხოველთა სულისგან. რიჩის ნაშრომთა შორის, ყველაზე თავბრუდამხვევი წარმატება ამ ნაშრომს ხვდა წილად, არა მარტო ჩინეთში, არამედ იაპონიასა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. **1595** წელს რიჩმა ჩინურად გამოსცა მცირე ტომეული, სათაურით *„ტრაქტატი მეგობრობაზე“*. მასში წარმოდგენილია დასავლელი ფილოსოფოსებისა და წმიდანების მოსაზრებები მეგობრობაზე. ნაშრომი ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა პროვინციაში და „ლიტერატორთა და მანდარინთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა“, მას თურმე „მთელი სამეფო განუცვიფრებია“. რიჩმა ამ ტრაქტატში ჩინელებს აჩვენა, რომ დასავლელი ხალხი არ იყო „ბარბაროსი“, და რომ მას უფლება ჰქონდა, ეტარებინა ტიტული „ლიტერატორი“, რადგან იგი შესანიშნავად ფლობდა მშობლიურ ლიტერატურას. მან წიგნი მიუძღვნა პრინც ქიანჟაის, რომელმაც თავის დროზე ავტორს ჩინელი მხატვრების კრებული უსახსოვრა, რომლის უკანა მხარეზე გამოსახული იყო თავად პრინცი „უცხოელ ლიტერატორთან“ საუბრისას. აღფრთოვანებული ჩინელი სწავლულები რიჩს „გენიალურ ადამიანად“ მოიხსენიებენ; ეს ტიტული იმ დროისათვის ყველაზე მეტად ფასობდა. ასევე, არსებობს რიჩის მთელი რიგი ნაშრომები, რომლებიც ევროპელებისადმი მიძღვნილი, იტალიურ და პორტუგალიურ ენაზე დაწერილი; წერილები და მრავლისმომცველი რელაცია *„იესოს სამშოს ჩინეთში შესვლასა და ქრისტიანობაზე“*, რასაც იგი იტალიურად წერს თავისი ცხოვრების ბოლო წლებში. რიჩის *„კომენტარები“* და *„წერილები“* წარმოადგენს სიახლეების ნაკრებს და იგი პირველი ნაშრომია, რომელიც ჩინეთზე მოგვითხრობს და გეოგრაფიული კუთხით სწორ წარმოდგენას იძლევა მასზე. მაშინ როდესაც „წერილები“ საინტერესო სიახლეებს გვთავაზობს ჩინეთის შესახებ, მის მკვიდრთა ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა გასაცნობად, განსაკუთრებით **1589-95**-იან წლებში, და ზოგადად წარმოდგენს რიჩის მოგზაურობას ქვეყნის შიგნით, *„კომენტარები“* განსაკუთრებულად აღწერს **XVI** ს-ის ჩინეთის ისტორიას, ხალხის ცხოვრებას და საზოგადოების სხვადასხვა ფენას; მასში აშკარად ჭარბობს გეოგრაფიული ასპექტები. რიჩს ეკუთვნის მცირე შრომები, რომლებმაც მას სახელი მოუხვეჭეს ჩინელ სწავლულთა წრეში: **1)** ტრაქტატი ოთხ ელემენტზე; **2)** ტრაქტატი თანავარსკვლავე-ლებზე, რომელიც **1601** წელს, რიჩის მოწაფის, ჩინელი ლიტერატორის ლი ჟიქაოს (მოგვიანებით მონათლული) მიერ გამოიცა ჩინურ ენაზე; **3)** გრეგორიანული კალენდრის ჩინური თარგმანი; **4)** ტრაქტატი ცასა და მიწაზე; **5)** **1607** წელს, რიჩი, მათემატიკოს ხუ გუანგქისთან ერთად, ჩინურ ენაზე თარგმნის ევკლიდეს წიგნს *„ელემენტები“*. რიჩი ასევე გახლდათ პეკინის პირველი ობსერვატორიის დამაარსებელი. დღეს ამ ობსერვატორიას სახელმწიფო მფარველობს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გეოგრაფიის დარგში, თუნდაც ჩინეთის მარკოპოლოს „*katais*“-თან და პეკინის „*xanbaligh*“-თან იდენტიფიკაციით.

საგანგებო ჩანართი

აპოსტოლადი

გარდა იმისა რომ მათეო რიჩი ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, მას დიდი წვლილი მიუძღვის ხუთასიანი წლების ბოლოსა და ექვსასიანი წლების დასაწყისში ჩინეთში ქრისტიანობის შეტანასა და გავრცელებაში. ქვეყანაში იმ დროისთვის სულ სამი კათოლიკე ჩინელი იყო, ხოლო რიჩის სიკვდილის შემდეგ კი მონათლულ ჩინელთა რიცხვმა ორი ათას ხუთასს მიაღწია, მათ შორის, ოთხასი დედაქალაქის მკვიდრი გახლდათ; მრავალი მათგანი არისტოკრატთა წრიდან და მმართველი კლასიდან იყო. უნდა გავისხენოთ პავლე ხუ გუანგკი, რიჩის თანაშემწე ჩინური წიგნების რედაქტირებაში და იმპერიის მომავალი კანცლერი, შანხაიში ქრისტიანობის დამაარსებელი; ლიენ ლი ჟიხაო, რომელმაც ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღო მიწა რიჩის დასამარხად; მიქელე იანგ ტინ-გუინი, რომელმაც დევნის დროს, საკუთარი სიცოცხლის ფასად, შეიფარა მამა რიჩი;... კიდევ და კიდევ შეიძლება გაგრძელდეს ამ ნეოფიტების რიცხვი, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის მაღალ კლასს მიეკუთვნება. საიმპერიო კარზეც იყვნენ ქრისტიანები, იმპერატორის ნათესავები.

მიუხედავად ასეთი პოპულარობისა, რიჩს თავისი ევროპელი და ინდოელი თანამოძმეები ბრალს იმაში სდებდნენ, რომ ჩინეთში მან უგუნური ქრისტიანობა გაავრცელა და ერთგვარი „ქრისტოჩინური“ რელიგია შექმნა; მოძღვრება, რომელსაც ის ასწავლიდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა „ჩინელი სწავლულების მორალურ სენტენციებთან, განსაკუთრებით კი კონფუცთან შეზავებული ქრისტიანული ჭეშმარიტების სინკრეტიზმი,“ ამიტომაც უწოდეს მას „მრწამსთა შემრიგე“, რომელიც პროზელიტიზმს ქრისტიანული რწმენის კეთილშობილურ არსს ანაცვლებდა. ის, რაც მამა რიჩის წინდახედულობითა და გულმოდგინებით სრულდებოდა, უცხოთაგან აცრთო იშვიათად აღიქმებოდა ცუდ ტონად, და ეს იმიტომ, რომ ისინი არ იცნობდნენ ჩინეთის პირობებს, ჩინურ ხასიათსა და გარემოს, სადაც დიდ იეზუიტს უხდებოდა მისიონერული მოღვაწეობა. ყველა ბრალმდებელს, რომელთაც არ ესმოდათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩინური ლიტერატურის ღრმა ცოდნა, როგორც ერთგვარი „იარაღი მთელი სამეფოს საყოველთაო მოქცევისთვის“, რიჩი ასე პასუხობდა: *„ჩემთვის უფრო მეტად მთავარია ის, რომ იქ ათი ათასზე მეტი ქრისტიანია“*. სარწმუნო წყაროები, პირიქით, მოწმობენ, რომ ყველა ბრალდება საფუძველს მოკლებული იყო. პრინციპში, რაზეც რიჩმა თავისი შესაშური საქმიანობა აავკო, საოცრად მეტრივი იყო: მაქსიმალური კეთილგანწყობა და პატივისცემა ჩინეთის ინტელექტუალური და სულიერი ფასეულობებისადმი; მათი ენის სრულყოფილი ცოდნა; მეცნიერული ცოდნის გამოყენება; საუბრები და აპოსტოლატი; მზრუნველობა განათლებულ კლასზე, ვისზეც დამოკიდებული იყო ხალხის მართვა.

ამდენად, რიჩმა სრულყოფილად გააცნობიერა საკუთარი მონოღება და მისიონერული არსი: არ მოეხდინა ჩინელებზე დამპყრობელი ადამიანის შთაბეჭდილება და დაურწმუნებინა ისინი, რომ იგი არ მოსულა სამტროდ. პირველ რიგში, უნდა ეზრუნა იმაზე, რომ საერთოდ მოესპო სახელი „ბარბაროსი“, რითაც მისიონერებს მოიხსენიებდნენ. მამა მათეო რიჩის ღვანლი და ამაგი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან შექმნა ადაპტაციის ისეთი სისტემა, რითაც ხვენდა საკუთარ მეთოდებს და მას ჩინეთის პირობებს უხამებდა. ენის ცოდნა მას, პირველ რიგში, ადგილობრივ ხალხთან ურთიერთობისა და საზოგადოებასთან უშუალო კავშირებისთვის სჭირდებოდა,

საგანგებო ჩანართი

იგი აუცილებელი პირობა გახლდათ მეგობრობის დასამყარებლად. მეორე რიგში კი, იმისათვის რომ ბოლომდე შეეცნო და შეეფასებინა ფუნდამენტური მოძღვრებები და მხოლოდ შემდეგ დაენყო *კეთილი უწყების* ქადაგება, ადგილობრივი კულტურის მოთხოვნების საფუძველზე. ამგვარი ფორმით, სიტუაციის ღრმად შესწავლის შემდეგ, რიჩმა საჭიროდ ჩათვალა, გადაეცა ქრისტიანული რწმენა ეტაპობრივად: თავდაპირველად გაეცნო მათთვის ის ჭეშმარიტება, რასაც მხოლოდ ადამიანის ინტელექტი აღიქვამდა, და შემდეგ გადასულიყო ქრისტიანული ჭეშმარიტების გაცხადების უწყებაზე. ამიტომაც დაწყებით ეტაპზე იგი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მსმენელთათვის ისე მიეწოდებინა მასალა, რომ მათთვის ის ადვილად გასაგები ყოფილიყო. რიჩი მოსული იყო არა ახალი რელიგიის საქადაგებლად, არამედ მხოლოდ ანტიკური ჩინური რელიგიის სრულყოფილებისათვის. ქრისტიანული რელიგია ხომ ანტიკური ჩინური სიბრძნის სრულყოფილებაა.

ხანგრძლივი კვლევისა და გამოცდილების შეძენის შემდეგ, მან გადანიშნა, შემრიგებლური პოზიცია დაეკავებინა კონფუციანიზმთან, სამაგიეროდ, დანარჩენ ორ მოძღვრებას – ბუდიზმსა და ტაოიზმს ეწინააღმდეგებოდა მათ *„კერპთა წყურვილს“* უწოდებდა. მამა რიჩმა, კონფუციანელთა ტექსტებიდან ბუნებრივი რჯული გამოარჩია და მისი ინტერპრეტაცია მოახდინა კონფუციანიზმის სხვადასხვა „საერო“ თეორიის თეისტური თვალსაზრისით. მან კლასიკოსებიდან გამოყო მოყვასისადმი სიყვარულის კონცეფცია, ვნების დამოკიდებულება გონებაზე. კონფუციანიზმში საერო მორალის და სათნოების სკოლა მთლიანად უპირისპირდებოდა კერპთაყვანისმცემლობას და ამიტომაც შეიძლებოდა მისი ქრისტიანობასთან მისადაგება. მაგრამ, მამა რიჩის შეხედულებით, კონფუციანური მოძღვრება უნდა ყოფილიყო საშუალება, რომლითაც ჩინელი სწავლულები გააცნობიერებდნენ და მიიღებდნენ ქრისტიანობას. ღრმად განონასწორებული გრძნობითა და პატივისცემით გამსჭვალული მიუდგა რიჩი კონფუცს, რომელიც ჩინელთა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ. კონფუციანიზმის არსზე გულისხმიერი დაკვირვების შემდეგ, რიჩი ჩაულრმავდა სუფთა საზოგადოებრივ, სოციალურ და ნაციონალურ რიტუალებსაც, და იმისათვის რომ გაეადვილებინა ქრისტიანული ჩანასახების შეტანა ჩინურ საზოგადოებაში, მან ეს მიმდინარეობა კათოლიკურ რელიგიასთან შეთავსებადად გამოაცხადა. მისი სიკვდილის შემდეგ, ამ მოსაზრებამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია ჩინეთში მყოფ მისიონერთა შორის (იეზუიტები, დომენიკელები, ფრანცისკელები), რამაც თავისი რეზონანსი ევროპაშიც ჰპოვა. რიჩს ყოველთვის ახსოვდა, რომ ყოველი ჭეშმარიტი აზრი ქრისტიანული იყო, რა ენაზეც არ უნდა წარმოთქმულიყო იგი. მოწინააღმდეგე მხარის სიტყვებში იგი ყოველთვის ცდილობდა ჭეშმარიტების მცირე მარცვლის დანახვას, რათა თანხედრის წერტილები ეპოვა. რიჩის სამოციქულო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი იყო განუხრელი და გულწრფელი მოღვაწეობა, რათა ჩინელთა შორის გაეტარებინა წმიდა

პავლეს უბრალო და უდიადესი ცხოვრებისეული პროგრამა: „ყველაფერი გავხდი ყველსთვის“, ანუ „მე ჩინელი გავხდი ჩინელებთან“.

რამდენიმე მოსაზრება მისი მოღვაწეობის შესახებ

ამ დიდი მისიონერის ფიგურა დღეს მზარდ ინტერესს იწვევს, რადგანაც დღევანდელი გადასახედიდან იგი გეზის მაჩვენებელია იმ ძნელ ჟამს, რომელსაც ჩვენ, ყველანი, გავდივართ მრავალეთნიკურ სამყაროში. თითოეულ ჩვენგანს ხშირად გვინევს განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანებთან კონტაქტი და მათთან დიალოგი, რომელიც ვერ თავსდება ამა თუ იმ კულტურის სპეციფიკაში, შეიძლება ითქვას, დიალოგი „შუა გზაზე“ წყდება: ამიტომაც საუბრობენ დღეს კულტურათაშორის დიალოგზე, იმ გზაზე, რაზეც ოთხი საუკუნით დანიშნაურდა ლი მათოუ, როგორც მას უწოდებდნენ ჩინელები.

ამგვარად, პირველადი მნიშვნელობის სულაც არ გავლავთ მყარი თეორიული ბაზის შექმნა, როგორც ეს მან სცადა არისტოტელესა და კონფუცის დასახლოებლად.

შესაძლოა, მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ ორი დიდი, სრულიად განსხვავებული მოაზროვნის დასახლოებლად, მაგრამ მისი ამაგი უწინარესად იმაშია, რომ მან წინ წამოსწია უმთავრესი, ანუ სუბსტანციური: ორივე მათგანის თანაბარი სწრაფვა ადამიანის საერთო ბუნების იდეისკენ. ამ თვალსაზრისით, მან მართლაც გადო *„ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რაზეც სახარებას თავისუფლად გაეღა შეუძლია“*. როგორც ბენედიქტე XVI წერს: *„მან მრავალი წელი შეალია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნაყოფიერ დიალოგს და აქვე, დაუღლელად ცდილობდა სახარების დანერგვას დიდი კულტურის მქონე ჩინეთის მოსახლეობაში“*. 1982 წელს, როდესაც ჩინეთში მისი ჩასვლიდან ოთხას წელს აღნიშნავდნენ, იოანე პავლე II შემდეგს აცხადებდა: *„სამარ-თლიანად სწამდა მამა რიჩს, რომ ქრისტეს რწმენა ზიანს კი არ მიაყენებდა ჩინეთის კულტურას, არამედ გაამდიდრებდა და სრულყოფდა მას... ჩინეთში მისი ჩასვლიდან 400 წლის შემდეგ, მამა რიჩის პირველება და მისი საქმიანობა დღესაც დიდ აქტუალობას იძენს ჩინელ ხალხში, რომელიც ჩართულია მოდერნიზაციისა და პროგრესის პროცესში“*.

მაჩერატელ იეზუიტს ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის ჩინეთში ქრისტიანობის გავრცელებაში. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის „ხიდი“ მისი მოწაფეების განსაკუთრებული ღვაწლის წყალობით გაიღო. ისინი შემდგომში მის თანამებრძოლებად იქცნენ; მათ შორისაა: ლი ჟიზაო, იანგ ტინშუინი, და გამორჩეულად, ხუ გუანგკი; ეს უკანასკნელი, იტალიელი მისიონერის მიერ პირველი მონათლული „სწავლული“ იყო; ნამდვილად დაუფასებლობა იქნებოდა, თუკი რიჩის საქმეებს იმ ძირითადი თანამშრომლობისგან გამოვყოფდით, რასაც მისი მეგობრები ეწოდნენ: კულტურათაშორისი დიალოგი, რომელშიც თავსდება სახარების გავრცელების მისია, არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური ინიციატივა, იგი ყოველთვის დიდი კოლექტიური სულისკვეთებით მიიღწევა.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ქრისტიანობის ლექსიკონი

ანტიქრისტე [ბერძ. antichristos „ანტიქრისტე“] სიტყვა ოთხჯერაა ნახსენები ახალ აღთქმაში და აღნიშნავს ქრისტესადმი დაპირისპირებულ ისტორიულ ძალას, რომელიც უმთავრესად ჟამთა აღსასრულს ამოქმედდება და რომელსაც თავად ქრისტე დაამხობს საშინელ სამსჯავროზე (გამოცხ. 11, შმდ.)

აპოკალიპტიკა [ბერძ. apokalyptikós (სიტყვიდან apokálypsis „გამოცხადება“)] ქრისტიანობამდელ და ქრისტიანობისშემდგომ იუდაიზმში (II ს. ქრისტემდე – II ს. ქრისტეს შემდეგ) გავრცელებული ლიტერატურული ჟანრი, რომელიც მიზნად ისახავდა, გაცხადებინა კაცობრიობის აღსასრულის ჟამთან დაკავშირებული მოვლენები. ამ ჟანრის თითქმის ყველა ტექსტი აპოკრიფულია, გარდა იოანეს გამოცხადებისა, თუმცა აპოკალიპტიკური ნიშნები ცალკეულ კანონიკურ ნიგნებშიც შეიმჩნევა. აპოკალიპტიკის სახასიათო თვისებებია: ფსევდონიმურობა, ხილვები, სიმბოლიზმი და განმმარტებელი ანგელოსი. ქრისტიანული აპოკალიპტიკა ამტკიცებს მესიის დიდებით დაბრუნებასა და ღმრთის სულიერი და საყოველთაო ხელმწიფების დამკვიდრებას.

აპოკატასტაზისი [ბერძ. apokatástasis „ხელახლა დამკვიდრება“] თავდაპირველად წინასოკრატელთა, შემდეგ კი სტოიკოსთა ნააზრევში აღნიშნავს სამყაროს მუდმივად მოძრავი ციკლის დასასრულსა და ახალ დასაწყისს. ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრდა უპირველესად აღმოსავლელი მამებისა და ორიგენეს მიერ როგორც მთელი შექმნილი სამყაროს მიბრუნება სრული ბედნიერების მდგომარეობისაკენ.

აპოკრისიარიოსი [ბერძ. apokrisiários „პასუხის გადამცემი“] სიტყვა ბერძნულ-რომაული სამართლებრივი წრებიდან იღებს სათავეს. V საუკუნის შუახანებიდან აღნიშნავდა პაპისა და პატრიარქთა მუდმივ წარმომადგენელს კონსტანტინოპოლის იმპერატორის კარზე. VI საუკუნიდან აპოკრისარიოსი საეპისკოპოებსა და მონასტრებშიც გავრცელდა. ეს წოდება და თანამდებობა კაროლინგური კარის მეშვეობით შუა საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას: როგორც ჩანს, კლუნიელებსა და ცისტერციელებს აპოკრისიარიოსი რომში ჰყოლიათ.

აპოკრიფული ნიგნები [ბერძ. apókryphos „დამალული“, „შორეული“ (ზმნიდან apokryptein „დაფარვა“)] ქრისტემდე II საუკუნიდან ქრისტიანული წელთაღრიცხვის IV-VI საუკუნეებამდე შექმნილი ებრაულ-ქრისტიანული რელიგიური ნაწერები, რომლებიც არ არის შესული ბიბლიის შემადგენელ ნიგნთა ოფიციალურ ნუსხაში. არ არის ზუსტად ცნობილი, სიტყვა წარმართული წარმოშობისაა თუ იუდეური წყაროებიდან მომდინარეობს. წარმართულ სამყაროში აპოკრიფი ეწოდებოდა ნიგნს, რომელშიაც გადმოცემული მოძღვრება დაფარული უნდა ყოფილიყო გაუნდობელთათვის (ეზოთერული ნაწერი). ესეველებზე მსჯელობისას იოსებ ფლავიუსიც ახსენებს ნიგნებს, რომლებიც საიდუმლოდ ინახებოდა, რადგანაც ეზოთერულ მოძღვრებას შეიცავდა, თუმცა არ არის ცნობილი, რომ ებრაელები ასეთ

ნიგნებს აპოკრიფებს უწოდებდნენ. არსებითი სახელის შესაბამისი ზედსართავი სახელი კი აღნიშნავდა დაზიანების გამო ლიტურგიისთვის გამოუყენებელ წმიდა გრაგნილებს, რომლებსაც საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებულ ადგილას ინახავდნენ, ანუ „მაღავდნენ“ (გენუზიმი). ირინეოსი და ტერტულიანე აპოკრიფულს „ცრუს“ სინონიმად იყენებდნენ, ხოლო ორიგენე, იერონიმე და ავგუსტინე აპოკრიფულს უწოდებდნენ ძველი აღთქმის იმ ნიგნებს, რომლებიც ებრაულ კანონში არ შედიოდა და მხოლოდ ქრისტიანული კანონის ნაწილს წარმოადგენდა. აპოკრიფები ეწოდებოდა, ასევე, ნაწერებს, რომლებიც ბიბლიის ნიგნთა ნუსხაში არ შედიოდა, მაგრამ სათაურის, თემის ან დასახელებული ავტორის მიხედვით დაიმკვიდრეს კანონიკური ნიგნების თანასწორი წმიდა ნაწერების ავტორიტეტი. ძველი აღთქმის აპოკრიფები ისტორიული (იუბილეთა ნიგნი, ადამისა და ევას ისტორია, ესაიას ცად ამალღება, იობის ანდერძი, სოლომონის ანდერძი და ა.შ.); დიდაქტიკური (სოლომონის ფსალმუნები, სოლომონის საგალობლები, მანასეს ლოცვა და სხვა) და აპოკალიპტიკურია (ეთიოპიური ენოქის ნიგნი, თარგმნილი ებრაული ან არამეული ორიგინალიდან; სლავური ენოქის ნიგნი, თარგმნილი ბერძნული ორიგინალიდან; ებრაული ენოქის ნიგნი; აბრამის გამოცხადება; ელიას გამოცხადება და სხვა). კანონიკურ ნაწერთა მსგავსად, ახალი აღთქმის აპოკრიფები იყოფა სახარებებად (ებრაელთა სახარება, პეტრეს სახარება, თორმეტი მოციქულის სახარება, იაკობის პირველსახარება და სხვა); საქმეებად (პეტრეს საქმენი, პეტრეს ქადაგება, პავლეს საქმენი, იოანეს საქმენი, ანდრიას საქმენი და ა.შ.); წერილებად (მოციქულთა წერილი, პავლეს წერილი ლაოდიკიელთა მიმართ, პავლეს წერილი ალექსანდრიელთა მიმართ, პავლეს წერილები სენეკას მიმართ და სენეკას წერილები პავლეს მიმართ და ა.შ.); გამოცხადებებად (პეტრეს გამოცხადება, პავლეს ცად ამალღება და ა.შ.).

აპოლინარიზმი ქრისტოლოგიური ერესი, რომლის სახელწოდებაც მომდინარეობს ლაოდიკიელი ეპისკოპოსის, აპოლინარიუსის, სახელიდან, რომელიც, ქრისტეს ღმრთაებრიობის უარყოფელ არიანელობასთან დაპირისპირებლად, ამტკიცებდა, რომ ქრისტეში სიტყვამ (ნ. ლოგოსი) იქსოს სამშვიველის სულიერი ნაწილი ჩაანაცვლა. ამგვარად ეჭვქვეშ დგებოდა ქრისტეს ადამიანურობის სისრულე.

აპოლოგია [ბერძ. apologhía „დაცვა“] საუბარი ან ნაწერი, მიმართული ვინმეს ან რომელიმე მოძღვრების დასაცავად. აპოლოგეტები ეწოდა ეკლესიის მამებს, რომლებიც ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში (II-III სს.) ქრისტიანობას წარმართთა თავდასხმებისაგან იცავდნენ. ნ. აპოლოგეტიკა.

აპოსტაზია [ბერძ. apostasía „განდგომა“, წარმოებული ზმნიდან aphístanai, „დაშორება“] მონათლული ადამიანის მიერ რწმენის სრულად უარყოფა. განსხვავდება ერესისაგან, რომელიც სარწმუნოების ერთი ან რამდენიმე ჭეშმარიტების ჯიუტ უარყოფას წარმოადგენს (CIC, კან. 751).

თორმეტი შვიტოსკა იესოს შესახებ

4. იყო თუ არა ნამდვილი ის სასწაულები, რომლებიც იესომ მოახდინა?

რუდოლფ ბულტმანი (1884-1976), ლუთერული დენომინაციის ცნობილი თეოლოგი, წარმოადგენდა იმ იდეოლოგიას, რომელიც ლიბერალური პროტესტანტიზმის სახელითაა ცნობილი (მას არაფერი აკავშირებს ლიბერალურ პოლიტიკურ მოძრაობასთან და, საერთოდ, პოლიტიკასთან!). იგი ყველაზე მეტად ცნობილია მის მიერ შემოტანილი ცნების გამო – „დემითოლოგიზაცია“. ამ ცნებასთან დაკავშირებული მიმართულება მიზნად ისახავს, ახსნას ბიბლიაში ასახული ზებუნებრივი მოვლენები ლოგიკურად და რაციონალურად. ბულტმანს არ სჯეროდა, რომ იესოს სასწაულები, როგორც ისინი აღწერილია სახარებებში, სინამდვილეში მოხდა; თუმცა ქრისტიანთა უმრავლესობა, მათ შორის, კათოლიკე ეკლესიის წევრები, უარყოფს ამგვარ უკიდურეს სკეპტიციზმს. სასწაულები მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი ადასტურებს იესო ქრისტეს ღმრთაებრიობას. ბულტმანი სწორი იყო ერთადერთ რამეში: ოდენ ადამიანურ არსებას არ ძალუძს თავისი ნებით განკურნოს ავადმყოფობა; მიაწიჭოს ხედავ ბრმებს, სმენა – ყრუებს, მეტყველება – მუნჯებს; ანდა აღადგინოს მკვდრები. საქმე ისაა, რომ მხოლოდ ღმრთაებრიობას შეუძლია განდევნოს ეშმაკები, საკუთარ ბრძანებას დაუმორჩილოს ზღვა და ქარი, გაამრავლოს ხუთი პური და ორი თევზი ხუთი ათასი ადამიანის დასაპურებლად, ან კიდევ, იაროს წყალზე.

სასწაულები რომ იშვიათია და რომ ისინი არ ხდება ყოველდღიურად ან რეგულარულად, სწორედ ისაა, რაც მათ სასწაულებად აქცევს. ისინი არსებითად გამოჩვენებენ მოვლენების, და ეს ის შემთხვევაა, როცა მოულოდნელად ღმერთი ჩაერევა ფიზიკურ სამყაროში. ამ დროს ბუნების კანონები კი არ უქმდება ან ირღვევა, არამედ ბუნებრივი გამოვლინებანი და შედეგები დროებით შეჩერდება. როცა იესო აღდგა მკვდრეთით, მისი სხეული იმყოფებოდა იმგვარ დიდებაში, რაც მას საშუალებას აძლევდა, გასულიყო დახურულ კარებსა და ყრუ კედელში, თუმცა იგი არ ყოფილა მოჩვენება, რამდენადაც მის მოციქულებს, – განსაკუთრებით ურნმუნო თომას, – ნება მიეცათ, შეხებოდნენ მის ხელებსა და გვერდს, და ეგრძნოთ მისი სხეული.

როცა სასწაულის მომწმე მხოლოდ ერთი პიროვნებაა, ადამიანებს არ სურთ დაიჯერონ

კამოსკოლა ოჯახებისთვის

ა.წ. 3-დან 9 სექტემბრამდე ბათუმთან ახლომდებარე სოფ. ანგისას „იმედის სახლმა“ უმასპინძლა კამოსკოლას; საქართველოს კათოლიკური საკრებულოებიდან (ახალციხე, ვალე, უნა, უდე, ქუთაისი, თბილისი, ბათუმი) ჩამოვიდა ცხრა ოჯახური წყვილი. ჯგუფში, წყვილებთან ერთად, იმყოფებოდა სიცოცხლის დაცვის საინიციატივო ჯგუფის ორი მოხალისე, თამარ თელიაშვილი და ნატო ჩიტაშვილი, რომლებმაც თავიანთი ახალგაზრდული ენერჯია და ხალისიანი განწყობა შეიტანეს მათ ცხოვრებაში; პატარებზე, რომლებიც წყვილებს თან ჰყავდათ ნამოყვანილი, მთელი გულით ზრუნავდა ნატა ვარლამიშვილი, ქუთაისის საკრებულოდან; „ძიძამ“ ბავშვების დიდი სიყვარული დაიმსახურა. ეს ლამაზი დღეები, როგორც ხდება ხოლმე ნებისმიერ კამოსკოლაში, დატვირთული იყო ფორმაციული შეხვედრებით. თავად კამოსკოლამ შეარჩია თემა: „ვიაროთ ერთად რწმენით“. სკოლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ანიმატორი, სუორა ანამარიასთან ერთად, გახლდათ თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მოძღვარი მამა მაჩეი მამაი. შეხვედრა დაიგეგმა საოჯახო პასტორალური კომისიის მიერ, რომელთა წევრები, სუორა ანამარია, ლალი ჩარკვიანი, ნანა და ვაკო ნებიერიძეები, ზვიჩა გოგიძე და თამაზ და ნანა მღებრიშვილები, სისტემატურად ზრუნავენ ოჯახური წყვილების სულიერი ზრდისათვის. ამას ემატებოდა ორგანიზაცია „ინერ-საქართველოს“ ერთგული თანადგომა ოჯახურ საკითხებში. შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი თემები: „ქრისტიანი წყვილი – ღვთის სიტყვის მათწყებელი“; „ოჯახი – პიროვნებათა თანაზიარება“; „მშობელთა პასუხისმგებლობა შვილოსნობის საკითხზე“; „ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის“. პირველი ორი თემის შესახებ ძალზე საინტერესოდ ისაუბრა მამა მაჩეიმ. საუბრისას მან აღნიშნა, რომ უნდა ვცხოვრობდეთ სიმართლით, რწმენით, იმედითა და სათნოებით. რწმენის გარეშე ოჯახი კარგავს ცხოვრების აზრს, და რომ იესო არის რწმენის წყარო ოჯახისათვის. შემდგომ საუბრებში მოძღვარი შეეხო ცოდვის შედეგებს, წყვილთა სიყვარულსა და მათ ერთიანობას. გამოიკვეთა ყველაზე მთავარი თვისება, რაც წყვილს უნდა ახასიათებდეს – თავმდაბლობა; წყვილმა უნდა დაივიწყოს ამპარტავნობა, რადგანაც ბევრი ოჯახი ინგრევა ამ თვისების გამო. მთავარია, ოჯახში სუფევდეს გულმონყალება. უფალს შეუძლია, დიდად გულმონყაღე იყოს ჩვენს მიმართ, მაგრამ იგი ისევე გვექცევა, როგორც ჩვენ ვექცევით მოყვასს. წყვილებმა უნდა იცოდნენ, რომ ის, ვისაც ნამდვილად უყვარს, არ ეჭვიანობს; მთავარია, მათ ჰქონდეთ მიტევების, პატიების უნარი. აღინიშნა ისიც, რომ წმიდა სიყვარულისთვის საჭიროა დისციპლინა, შინაგანი განწმენდა და სისუბეტაყე.

წყვილთა შორის ქალთა უმრავლესობა დაინტერესდა ფერტილობის მონიტორინგის საკითხით და თავისუფალ დროს ისინი ამ კუთხით იღრმავებდნენ ცოდნას. ექსპერტთა მიერ, რომლებიც ფერტილობის მეთოდებს შეისწავლიან, საინტერესოდ იქნა განხილული შვილოსნობაზე პასუხისმგებლობის თემა. მათი განმარტებით, შვილოსნობა დამოკიდებული უნდა იყოს დედისა და მამის მორალურ-ეთიკურ პასუხისმგებლობაზე. მას გააჩნია ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები. ობიექტური კრიტერიუმები სცილდება საკუთარი ინტერესებისა და ზრახვების საზღვრებს, რაშიც სუბიექტური კრიტერიუმები თავსდება, და უფრო შორს მიდის, ანუ ღმრთის ჩანაფიქრთან თანამშრომლობამდე. ამიტომაც, თუკი წყვილს სურს, ქრისტიანული რწმენის შესაბამისად იცხოვროს, უნდა იხელმძღვანელოს ობიექტური კრიტერიუმებით, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ აყალიბებს პიროვნებებს, რომელთა ცოლ-ქმრული ცხოვრება მყარი ერთობითა და ნაყოფიერებით გამოირჩევა. სექსუალობა წყვილში გამოიხატება ურთიერთმიძღვნით, რომელიც არის უფლის საჩუქარი, ხოლო მისი ნაყოფია ახალი სიცოცხლე – ბავშვი. „სექსობრივი უნარი, რომლის მეშვეობითაც მამაკაცი და ქალი ერთმანეთს უძღვნის საკუთარ თავს, არ არის რაღაც მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ ეხება პიროვნების, როგორც ასეთის, უშინაგანეს ბირთვის. ეს

უნარი ჭეშმარიტად ადამიანური ფორმით ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იმ სიყვარულის შემადგენელი ნაწილია, რომლითაც მამაკაცი და დედაკაცი სრულიად უძღვნიან თავიანთ თავს ერთმანეთს სიკვდილამდე“ (კეკ. 2361). სრულყოფილების მისაღწევად აუცილებელია სხეულის, გულისა და სულის ჰარმონიული ერთიანობა, ასეთ შემთხვევაში პიროვნება უფალთან თანაზიარებაში იმყოფება.

ერთობ საინტერესო აღმოჩნდა შეხვედრა INER-ის ფსიქოლოგ მამუკა გელაშვილთან. მან ისაუბრა მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე, მათ შორის შესაძლო კონფლიქტებზე. წყვილებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს დასმულ შეკითხვებზე.

ყოველი შეხვედრის შემდეგ, დრო ეთმობოდა ჯგუფურ შეხვედრებს, სადაც კითხვების ირგვლივ იმართებოდა დისკუსიები, ჯგუფის წევრები ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას.

დღის მეორე ნახევარი ყოველთვის ეთმობოდა ქ. ბათუმისა და მისი შემოგარენის დათვალიერებას და, რაც მთავარია, სექტემბრის ხავერდოვანი ზღვით ტკობას. მოენყო ექსკურსია გონიო-ავსაროსის მუზეუმში, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ბათუმის ყოფილ კათოლიკურ ეკლესიაში, მოვინახულეთ „ღამის თავშესაფარი“, რომელსაც საოცარი რუდუნებით უძღვება თამაზ მღებრიშვილი. გავესაუბრეთ თავშესაფრის ბინადრებს, მოვისმინეთ მათი ცხოვრებისეული ისტორიები. ასევე, საინტერესო იყო შეხვედრა იოანე XXIII-ის სახელობის „საოჯახო სახლში“, რომელიც „იმედის სახლის“ მეზობლადაა განთავსებული და რომლის მესვეურებიც ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობით არიან დაკავებული. მოვინახულეთ სახლი და გავესაუბრეთ მის ხელმძღვანელს. შეიძლება ითქვას, ჩვენს შორის მეგობრობის ძაფებიც კი გაიბა. დამშვიდობებისას მათ გამოგვიგზავნეს სიმბოლური საჩუქრები და დაგვირდნენ, რომ თავიანთ ლოცვებში მოიხსენიებდნენ ყველა აქ მყოფ წყვილს, რისთვისაც მოგვთხოვეს ბარათები ჩვენი სახელებით. ჩვენც ასევე ვპირდებით მათ, რომ ვილოცებთ მათი ბედნიერი მომავლისათვის.

რაც შეეხება სულიერ ცხოვრებას: ბათუმის კათოლიკურ ეკლესიაში დავესწარი საკვირაო წირვას, რომელსაც უძღვებოდა მამა გაბრიელ ბრატაშტინი. ასევე, ერთად აღვნიშნეთ მარიამის შობის დღესასწაული, უფლისადმი მივმართეთ ჩვენი ლოცვები და სულიერ თანაზიარებაში ვიყავით ვალეს საკრებულოსთან, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიდა. ასევე მადლობა იქ მომსახურე პერსონალს, რომლებიც ერთგულად ზრუნავდნენ ჩვენზე.

გვინდა, მიღებული ცოდნის, ჩვენს ოჯახებზე ზრუნვის, დასვენებისა და გართობის გამო, მადლობა გადავუხადოთ საოჯახო პასტორალურ კომისიას, „იმედის სახლის“ მომსახურე პერსონალს, ადმინისტრაციას, იქ მყოფ წყვილებს და მამა მაჩეის.

ქეთევან ოზოლაშვილი, დავით ჩილაშვილი



ეს სასწაული, რადგან ნებისმიერ ადამიანს, შესაძლოა, მოუვიდეს შეცდომა ან მივიდეს არასწორ დასკვნამდე. მაგრამ როცა ასობით და ათასობით მომწმე ადასტურებს სასწაულს, მისი უარყოფა ადვილი არაა. იესომ სასწაულებრივად დააპურა ხუთი ათასი ადამიანი (თუ არ ჩავთვლით ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც იქ იყვნენ), რის შემდეგაც ხალხს სურდა, მოეტაცათ იგი და მეფედ გამოეცხადებინათ.

ბულტმანი და სხვა სკეპტიკოსები აცხადებენ, რომ ამ კონკრეტული სასწაულისას იესომ სინამდვილეში კი არ გაამრავლა ხუთი პური და ორი თევზი ათასეულთა დასაპურებლად, არამედ გამოართვა მათ ის მცირედი, რაც თან ჰქონდათ და შთააგონა ისინი, საზრდო ერთმანეთში გაეყოთ. და კიდევ, ბულტმანი და მისი მიმდევრები სვამენ ამგვარ კითხვას: თუ ყოველივე ეს სინამდვილეში მოხდა, რატომ მოექცა შემდგომში ბრბო ამგვარად იესოს? მას რომ მართლაც დაეპურებინა ათასობით ადამიანი სასწაულებრივი ძალით, განა ხალხი მას ნაკადებად არ გაჰყვებოდა?

სწორედ იმის გამო, რომ ხალხმა ნამდვილად დაიჯერა იესოს მიერ ლაზარეს აღგინება (მას შემდეგ, რაც ლაზარე საფლავში სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდა), იესოს მტრებმა გადაწყვიტეს, მოეკლათ იგი. მათ მეტისმეტად შეემინდათ იმ საყოველთაო აღიარებისა, რომელსაც დღითიდღე იხვეჭდა იესო, – ხალხში სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა მისი, როგორც სასწაულთმოქმედის, სახელი...

თუმცა მთავარი ისაა, დაიჯერებს თუ არა ადამიანი დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, იესოს იმ სასწაულებს, რომელთა შესახებ მოთხრობილია სახარებაში. არ არსებობს არავითარი ემპირიული, ხელშესახები საშუალება იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ზებუნებრივი მოვლენები მართლა მოხდა, მაგრამ ახალი აღთქმა გვთავაზობს მონშეთა დადასტურებას. რწმენა საშუალებას აძლევს ადამიანს, იწამოს ის, რაც არ ჩანს, არ შეიგრძნობა და არ მოწმდება. რაც შეეხება ფიზიკურ დადასტურებას, მას მივყავართ ხოლმე ცოდნამდე, მაგრამ ამ ფიზიკური დადასტურების გარეშე გვრჩება ორად ორი არჩევანი: ან ვირწმუნოთ, ან არ ვირწმუნოთ. ის ფაქტი, რომ მთელი ჩვენი სარწმუნოება ეფუძნება იმ სასწაულს, რომელიც გვწამს, რომ ერთი კაცი ჯვარს აცვეს, მოკვდა და მესამე დღეს აღდგა მკვდრეთით საკუთარი ძალით, და რომ ამ სარწმუნოებამ გაძლო ორი ათასი წლის მანძილზე და დღესდღეს აერთიანებს ერთ მილიარდ მიმდევარზე მეტს, უკვე თავისთავად მრავალსმეტყველია.

მასალა მოამზადა მერაბ ღალანიძემ

მეგობრობა, სიყვარული და ჭეშმარიტება – ეკუმენური დიალოგის საყრდენი

შვეიცარიელი მთავარეპისკოპოსი, სამოც წელს მიტანებული კურთკმეტი კარდინალი, პირველი ივლისიდან ქრისტიანთა ერთობის პონტიფიქსის საბჭოს ახალი პრეზიდენტი. წინამდებარე ინტერვიუში იგი თავის პირველ ნაბიჯებზე მოგვითხრობს და იმ სამუშაოს კონტურებს ხაზავს, რომელიც ნოემბრის თვეში პონტიფიქსის საბჭოს პლენარულ ასამბლეაზე უნდა დასრულდეს.

იგი შვეიცარიული სიდარბაისლით აცხადებს: „ეკუმენიზმი დაბადებულანაა ჩემში“. თორმეტი წლის ასაკში ქრისტეს ვნების საკითხავი „გულს მიფორიაქებს და მთლიანად მიპყრობს“, ვინაიდან ვხვდებოდი, რომ „რომელიც ჯარისკაცებს სულაც არ სურდათ იესოს სუდარის განაწილება, ეს ჩვენ, ქრისტიანებმა დავანაკუნეთ, გავყავით ქრისტეს ერთიანი სხეული“.

მონსინიორ კობი აზუსტებს, რომ იგი არ გახლავთ საერთაშორისო ჰოლდინგების პრეზიდენტი. „ქრისტიანთა ერთობა თავად იესოს მიერ ნასურვები მისიაა და მე პაპისგან მერგო მანდატი, რომ როგორმე აღვადგინო გათიშულობა“.

ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდებს „Osservatore Romano“-ში (15/09/2010) გამოქვეყნებული ინტერვიუდან.

რედაქცია

რა გითხრათ პონტიფიქსმა, როდესაც ქრისტიანთა ერთობის პონტიფიქსის საბჭოს თავმჯდომარეობა დაგაკისრათ?

პაპმა თავისთან დამიბარა ნ თებერვალს, კერძო აუდიენციაზე და გამანდო, რომ ვინაიდან კარგად ვიცნობდი პროტესტანტულ საკრებულოებს, არა მხოლოდ წიგნებიდან, არამედ ცოცხალი, უშუალო გამოცდილებიდან, მისიას კარგად გავუძღვებოდი. მან იცოდა, რომ შვეიცარიაში მქონდა დიალოგისა და კონფრონტაციის მომენტები პროტესტანტებთან. ამაზე ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ad limina-ზე, როდესაც იგი რწმენის მოძღვრების კონგრეგაციის პრეფექტი გახლდათ, მე კი ბაზილეას ეპისკოპოსი. 2002 წლიდან ქრისტიანთა ერთობის პონტიფიქსის საბჭოს წევრი ვარ და დღემდე განუღი სამუშაო კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს იმ მისიისადმი, რაც ბენედიქტე XVI-მ მომანდო.

იქნებ გავვიმხილოთ, როგორი იქნება თქვენის სტრატეგიები სხვადასხვა ხასიათის დიალოგში, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში?



ჩემთვის პრობლემატურ პუნქტად რჩება მთელი ეკუმენური მოძრაობის სულისა და ფუნდამენტის – მისი სულიერი მხარის აღიარება. ეს მხოლოდ დროის გამოძახილი როდია, საკმარისია, წაიკითხოთ კრების დეკრეტის „Unitatis redintegratio“-ს VIII თავი. სულიერების გარეშე ვერსად ვერ წავალთ.

რომელი არსებითი ელემენტები ახასიათებს ეკუმენურ დიალოგს?

უწინარესად, მეგობრობა. დამაჯერებელი და გულწრფელი დიალოგი შეიძლება მხოლოდ მაშინ გადავიდეს კონკრეტულ საქმეში, თუკი იქნება, როგორც მე ვუნოდებ, „სიყვარულის ეკუმენიზმი“. როდესაც ურთიერთობები დაძაბულია, რთულია ერთად ლოცვა და თეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობა. ურთიერთშეხვედრა, პირადი გაცნობა, მეგობრობის დამყარება – ეს საბაზო ელემენტებია, თუკი გვინდა, რომ თეოლოგიურმა დიალოგმა წარმატებით იმუშაოს.

მაშასადამე, სიყვარული და ჭეშმარიტება?

სიყვარული და ჭეშმარიტება, ეს ორი დიდი სიტყვა ბენედიქტე XVI-ის თეოლოგიური corpus-ის ცენტრია. თუკი სიყვარული და ჭეშმარიტება გვერდიგვერდ არ იქნებიან, დიალოგი შეფერხდება. ადვილია, განაცხადო, რომ მომავალი არა აქვს დედაკაცსა და მამაკაცს, რომლებსაც ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ეს ხომ სიმართლეს არ შეეფერება. როგორც სიყვარული ვერ იქნება ჭეშმარიტების გარეშე, ასევე ვერ იარსებებს ჭეშმარიტება,

ცალკე აღებული; უსიყვარულოდ ძალიან გაძნელებოდა მისი მიღება.

თუკი გავითვალისწინებთ პროგრესსა და შეცდომებს, რამდენად ჯანმრთელია დღეს ეკუმენიზმი?

წიაღსვლები ყოველი მიმართულებით გაკეთდა. არ უნდა ველოდოთ ნაუცბათევე შედეგებს, თუნდაც იმიტომ რომ ეკუმენიზმის ფუნდამენტი სულიერებაა. ყოველი დიალოგი ახალი გამოწვევაა, თავისი ნიშან-თვისებებით. ეს მე პირადად გამოცადა, როგორც კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის თეოლოგიური დიალოგის შერეული კომისიისა და ლუთერან-კათოლიკეთა ერთობისათვის საერთაშორისო კომისიის წევრმა. შემდგომი გზა სრულიად განსხვავებული იქნება. მართლმადიდებლებთან საერთო რწმენის დიდი ბაზა გავგაჩნია, მაგრამ ჩვენს შორის კულტურული განსხვავებაა. რეფორმისტულ სამყაროსთან კი პირიქით, ასე დიდი საერთო რწმენის საფუძველი არ გვაქვს, სამაგიეროდ, გვაქვს საერთო კულტურა.

რწმენის საერთო საფუძველს მართლმადიდებლებთან უიმედო შედეგები აქვს. მოსკოვიდან თქვენ მოგივიდათ მისალოცი პატრიარქ კირილესგან, რომელიც გამოხატავს სურვილს – „თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებზე ორივე ეკლესიის საკეთილდღეოდ“, გამოჰყოფს ასევე ურთიერთობებში პოზიტიურ და კონსტრუქციულ მხარეებს.

მართალია. მართლმადიდებლებთან გარკვეული ძვრები აღინიშნება თეოლოგიური დიალოგის მხრივ. ვენაში, 20-დან 27 სექტემბრამდე, შეიძლება კიდევ გაგრძელდეს პირველ ათასწლეულში რომის ეპისკოპოსის როლის საკითხის შესწავლა. შემდეგ, წმიდა ანდრეას დღესასწაულისთვის, მომავალ 30 ნოემბერს სტამბულში მივემგზავრები. მნიშვნელოვანია, რომ ეს მსოფლიო პატრიარქთან, ბართოლომეოსთან ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტია, რომელიც რომსა და ფანარს შორის, ეკლესიის მფარველთა დღესასწაულების მოტივით, დელეგაციების გაცვლის ფონზე მიმდინარეობს.

თქვენმა დანიშნამ პროტესტანტების პოზიტიური რეაქცია გამოიწვია და იმედი ჩასახა „ეკუმენურ გახსნილობაზე“, – როგორც მას უწოდა ლუთერანმა პასტორმა ოლაფ ფაიკს თვეიტმა, ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს გენერალურმა მდივანმა.

ძირითადი პირობა ესაა: წარმართოთ დისკუსია ეკლესიის ირგვლივ, განვიხილოთ სხვადასხვა თვალსაზრისები. შესაძლოა, შეიქმნას ეკლესიის ერთიანობის იდეის დაკარგვის რისკი, ეს დიალოგი უნდა გაღრმავდეს. სწორედ შვეიცარიაში მი-

ღებულმა გამოცდილებამ მაჩვენა ეკუმენური მოვალეობის პრიორიტეტი და სასწრაფო საჭიროება. როგორც მღვდელი და ეპისკოპოსი, ყოველთვის ვაყენებდი, მაგალითად, შერეული ქორწინებების, კათოლიკეებისა და პროტესტანტებისაგან შემდგარი ოჯახების პრობლემას. გულსატკენია, როდესაც ცოლ-ქმარს, მშობლებს და შვილებს არ შეუძლიათ, ერთად მიიღონ მონაწილეობა თავიანთ ეკლესიებში აღვლენილ წირვებში. ეს რეალობა ბაზილიაში პრაქტიკულად გამოვცადა.

პაპის გულგახსნილობამ ანგლიკანების მიმართ, რაც მან გამოხატა სამოციქულო კონსტიტუციაში „Anglicanorum coetibus“, დიდი ნაყოფი გამოიღო.

ანგლიკანურ სამყაროში მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. Anglicanorum coetibus-ით პონტიფიქსმა ხიდი გადო მათთან, რომლებმაც ითხოვეს, თავისუფალი ნებით დარჩენილიყვნენ კათოლიკე ეკლესიის ერთობაში... საყურადღებოა, რომ პაპი, თავის საერთაშორისო ვიზიტებზე, ყოველთვის უთმობს ადგილს ეკუმენურ შეხვედრებს. თუმცა ეს სულაც არ არის სიურპრიზი, თუკი გავიხსნებთ, რომ ვიდრე პაპის მოვალეობას შეუდგებოდა, მან თავის სიტყვაში ნათლად განაცხადა ქრისტიანთა ერთობის პრიორიტეტი.

როგორი გეგმები გაქვთ ნოემბრის პლენარული სხდომისთვის?

ჩვენ უკვე ვემზადებით ასამბლეისთვის. ორი წლის წინ, როდესაც წინა სხდომა გაიმართა, გადავხედეთ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე განვლილ ეკუმენურ გზას. ახლა ერთად უნდა დავადგინოთ გასავლელი გზა. მუშაობის პროცესიდან სამომავლო პროგრამაც იკვეთება. ჩვენ გვჯერა, რომ ქრისტიანთა ერთობა არის გადაუდებელი მისია, მიუხედავად იმ დიალოგში არსებული სიძნელეებისა, რომლის ფესვები ვატიკანის II კრებაში დევს.

როგორ განსაზღვრავდით თქვენს სამუშაოს?

ჩემი დავალება, პირველ რიგში, გულისხმობს შეხვედრებისა და ვიზიტების ფართო ქსელს ჩვენგან განსხვავებული რეალობის წარმომადგენლებთან. არის ერთი საკმაოდ საინტერესო ასპექტი ჩემს ფუნქციაში, რაც ხშირად ჩრდილში ექცევა: შეხვედრები ეპისკოპოსებთან ad limina Apostolarum-ის ვიზიტებზე. ჩემთვის ფუნდამენტურია პირდაპირი გზით შედარება, ყოველი სიტუაციის განხილვა. უკვე თხუთმეტი წელია, ეპისკოპოსი ვარ, შვეიცარიის საეპისკოპოსო კონფერენციაში ცხრა წლის მანძილზე ვიმუშავე ვიცე-პრეზიდენტად და სამი წელი პრეზიდენტად, ანუ მქონდა შესაძლებლობა, დამენახა, რაოდენ მნიშვნელოვანია ad limina-ს ვიზიტები.

თქვენს ფუნქციაში შედის ასევე ებრაელებთან დიალოგის წარმართვა. როდესაც ღვთის სიტყვის ირგვლივ გამართულ 2008 წლის სინოდზე გამოხვედით, თქვენ განაცხადეთ, რომ „ებრაელთაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება“ და მხედველობაში გქონდათ „ცოცხალი სინამდვილე“ – საღვთო წერილი.

ზოგჯერ ივინყებენ, რომ ქრისტიანთა ერთობისათვის პონტიფიქსის საბჭოს პრეზიდენტი ასევე პასუხისმგებელია ებრაელებთან რელიგიური კავშირების კომისიაზე. ეს არც შემთხვევითია და არც შეცდომა, ამას თავისი დატვირთვა აქვს. ამ დავალებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. ძალზე ნასიამოვნები დავრჩი იმით, რომ მნახველებს შორის პირველები, აქ, რომში, მიუხედავად საზაფხულო პერიოდისა, სწორედ ებრაელთა წარმომადგენლები იყვნენ. ამჟამად შეიმჩნევა პოზიტიური ძვრები ებრაულ სამყაროსთან ურთიერთობაში. უნდა ვალიარო ჩემი წინამორბედის, კარდინალ ვალტერ კასპერის ამაგი, რაც მან გასწავა ამ ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. ჩემი მხრივ, გავაგრძელებ და გავაღრმავებ ამ სამუშაოს. ებრაელებთან კავშირს არ უღვეს

პოლიტიკური სარჩული, აქ მთავარი რელიგიური მხარეა. ამას ადასტურებს პაპის სიტყვები და მისი ვიზიტები კელნის, ნიუ-იორკისა და რომის სინაგოგაში.

თქვენს დღის წესრიგში, ალბათ, აუცილებლად იდგება სექტების საკითხი.

მოდით, დავფიქრდეთ: რატომ აწყდება ამდენი ადამიანი სექტებს, რას პოულობენ მათში? რატომ არის მათი წინადადება ასე მიმზიდველი? რატომ აღარ აკაკუნებენ ეს პიროვნებები ჩვენი ეკლესიის კარებზე? სექტების შემოტევა ჩვენს წინაშე სერიოზულ კითხვებს აყენებს. ცხადია, მათი სტრატეგია არ უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ იძულებულნი ვართ, დავფიქრდეთ იმ ფორმაზე, რითაც ისინი გადასცემენ სახარებას; დავფიქრდეთ ჩვენს რწმენაზე. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 2008 წლის სინოდზე ლათინური ამერიკის წარმომადგენელთა მაგალითების მოსმენამ, რომლებსაც ადგილზე უწევთ სექტების აგრესიული შემოტევის ატანა. ლათინოამერიკელ ეპისკოპოსთა ad limina-ს მომდევნო შეხვედრაზე უსათუოდ ვისაუბრებთ ამ საკითხზე და ვნახავთ, რისი გაცემა შეგვიძლია.

„საბას“ კორესპონდენტების შეხვედრა

2010 წლის 24 ოქტომბერს, თბილისში, რამოდენიმე თვიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ შეიკრიბნენ „საბას“ კორესპონდენტები და რედაქციის წევრები. შეკრებას ესწრებოდნენ სტუმრები, პროფესორები: ნანა ციხისთავი და გიორგი კიკნაძე. შეკრების მიზანი იყო გაეანალიზებინათ განვლილი მუშაობა და ახალი პროგრამების შესახებაც ესაუბრათ.

საკრებულოებიდან ჩამოსულმა კორესპონდენტებმა აღნიშნეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადგილობრივი კათოლიკეებისათვის ჟურნალი და, რომ მის გამოვლას მოუთმენლად ელიან. ასევე ისაუბრეს ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიკაციების ნაკლსა და ღირსებებზე. მათ აღნიშნეს, რომ ეს შეხვედრები სასარგებლო და საინტერესოა ყველასათვის.

განვლილი მუშაობის მიმოხილვის შემდეგ ახალი პროგრამაც დაისახა, კერძოდ საკრებულოების კორესპონდენტებს დაევალებათ ჩაინერონ ინტერვიუები თავისი რაიონისა თუ კუთხის გამოჩენილ, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანებთან. გრაფიკი შემდეგნაირად განაწილდა: იანვარი – ახალციხე, თებერვალი – ქუთაისი, მარტი – არალი, აპრილი – ბათუმი, მაისი – თბილისის კათედრალური ეკლესია, ივნისი – წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესია, ივლისი – ვალე, აგვისტო – ახალგაზრდული საბჭო, სექტემბერი – ოზ-

ურგეთი, ოქტომბერი – უდე, ნოემბერი – გორი, დეკემბერი – ხიზაბავრა.

შემდეგ სტუმრებმაც ისურვეს საკუთარი აზრის გამოთქმა. „ჩემი სტუმრობა განაპირობა სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტთან და კათოლიკურ ეკლესიასთან ჩემმა კავშირმა, – განაცხადა ქალბატონმა ნანა ციხისთავმა, – მე ვმონაწილეობდი უნივერსიტეტის მიერ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში; მჭიდრო მეგობრული და კოლეგიალური ურთიერთობა მაკავშირებს „საბას“ რედაქციის წერთან, ბ-ნ ნუგზარ ბარდაველიძესთან. ჩვენ ერთად ვმონაწილეობთ პროექტში „ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით“, რომელიც გახლავთ ევროკლიოს, მატრასა და საქართველოს ერთობლივი პროექტი. ამჟამად ჩვენ ვამზადებთ ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს. წიგნი დაეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საქართველოში რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ფონზე განსაზღვრონ და საკუთარი დასკვნა გააკეთონ ტოლერანტობასა და რელიგიურ შემწყნარებლობაზე. წიგნში შესულია ივლიტის ეკლესიის წარმომავლობის სადაო საკითხიც. მოსწავლემ მასალის გაცნობისა და ისტორიული წყაროების შესწავლის შემდეგ თავად უნდა გააკეთოს სწორი დასკვნა. წიგნში ასევე იქნება ერთი თავი ქუთაისელი

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

ბოლო დროს, თბილისის ქუჩებში, დაწესებულებებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებში გახშირდა საერო და ე. წ. სასულიერო პირთა მიერ შემონირულობების შეგროვების ფაქტები. ისინი გამვლელებს განუმარტავენ, რომ შემონირულობებს აგროვებენ ამათუ იმ ტაძრის მშენებლობისთვის ან ბავშვთა სახლებისთვის. იმის გამო, რომ ხშირად ადგილი აქვს ხალხის მოტყუებას და სინამდვილეში თანხის შეგროვება პირადი მიზნებით ხდება, გთხოვთ, მსგავს შემთხვევებში დარეკოთ და ინფორმაცია გადაამონწიოთ საქართველოს საპატრიარქოში ან იმ ეპარქიის მღვდელმთავართან, სადაც მსგავსი შემთხვევები ხდება.

19.09.10

ციცინო ხითარიშვილი

განუსვენე მათ, უფალო!



გიორგი ხითარიშვილი * 9.09.1936 წ. – ვალე † 19.09.2010 წ. – ვალე



სტეფანე ბალახაშვილი * 20.10.1930 წ. – უდე † 02.08.2010წ. – სოფ. აბასთუმანი



შოთა კაჭკაჭიშვილი * 15.06.1939 წ. – არალი † 24.07.2010 წ. – არალი



ციალა (ჟენია) ზაქროშვილი * 2.01.1932 წ. – ვალე † 01.09.2010 წ. – ვალე

სარჩევი	
ეპისკოპოსის მიმართვა	2
რედაქციის გვერდი.....	3
კათოლიკე ეკლესია	
მსოფლიოში	4
კათოლიკე ეკლესია	
საქართველოში	7
სხვა ქრისტიანული ეკლესიები.....	10
ქრისტიანობის ლექსიკონი.....	11
კათოლიკური პასუხი	12
ქრისტიანული ოჯახი	12
ინტერვიუ	14
ინფორმაცია	16
ახალგაზრდული გვერდი	18
საგანგებო ჩანართი	I-IV

რედაქცია: მამა გაბრიელ ბრატანტინი ნუგზარ ბარდაველიძე ნატო ბიგვაკა ვერიკო ნოზაძე მერაბ ღალანძიე ზაზა შათირიშვილი ციცინო ხითარიშვილი

მისამართი: თბილისი, ვია აბესაძის ქ. №4 ტელ.: 98-95-16 რეგისტრაციის № 1853 დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ © "საბა", 2010



საქართველოს ათეოსტური ახალგაზრდების საზოგადოება

ახალგაზრდების შეხვედრა წეროვანში

საქართველოში უკვე ტრადიციად იქცა კათოლიკე ახალგაზრდების ყოველწლიური და შთამბეჭდავი შეხვედრები წეროვანში. და აი, ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ, დადგა ნანატრი დღე – 14 აგვისტო და საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდები კვლავ ერთად შევიკრიბეთ, როგორც ერთი მთლიანი ოჯახი. ვფიქრობ, რომ ეს დღე მართლაც მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო თითოეული ახალგაზრდისათვის.

14 აგვისტოს მშვენიერი დილა გათენდა, ბრწყინვალე ზაფხულის სურნელოვანი დილა. რამდენიმე საათიანი მგზავრობის შემდეგ, ჩვენ წეროვანში ჩავედით. წეროვანმა გულთბილად მიგვიღო, გულში ჩაგვიკრა და შესაშური მასპინძლობა გაგვინია. ეზოში დილიდანვე იგრძნობოდა დიდი გამოცოცხლება. უღრუბლო ცაზე კაშკაშა მზე ანათებდა და მისი ოქროსფერი სხივების შუქზე ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა, გარემოს საამო ელფერი გადაჰკვროდა. ზაფხულის მშვენიერი ფერები ჯერ კიდევ არ გახუნებულიყო. ხეებს ამშვენებდა აბრები, რომლებიც შეხვედრის მთავარ თემებს გვამცნობდა.

წეროვანში მისვლისთანავე ყველა ახალგაზრდამ რეგისტრაცია გაიარა და ჯგუფებად დაიყო.

შეხვედრის მთავარი თემა იყო: „ნდობა და ურთიერთპატიება“. ჯგუფებში განიხილებოდა შემდეგი თემები: ენდობა თუ არა ეკლესია ახალგაზრდებს და, პირიქით, ენდობა თუ არა ახალგაზრდობა ეკლესიას; არსებობს თუ არა ახალგაზრდებს შორის ურთიერთნდობა და კი-

დეგ უამრავი სხვა საინტერესო თემა...

ჯგუფებში და ჯგუფებს შორის მეტად მწვავე დისკუსია გაიმართა. ახალგაზრდები აფიქსირებდნენ თავიანთ მოსაზრებებს და ერთმანეთს მიღებულ შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებებს უზიარებდნენ. იყო მომენტები, როცა ახალგაზრდები საკუთარ თავთან განმარტოებულები ლოცულობდნენ და, ალბათ, თავიანთ ლოცვებში ღმერთს სანუკვარი ოცნებების ახდენას შესთხოვდნენ.

მოგვიანებით, ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი, ჯუზეპე პაზოტოც შემოვიერთდა. მისმა მოსვლამ ხალისი და ენერჯია შემოიტანა ჩვენში და ძალიან გაგვახარა. შეხვედრის ბოლოს, მამა ჯუზეპემ წმ. ნირვა აღავლინა.

ეს დღე მართლაც დაუფინყარი და საინტერესო იყო. პირადად მე ამ შეხვედრამ დამანახა, რომ ჩვენ უნდა შეგვეძლოს ერთმანეთისთვის ცოდვების მიტევა. ყოველშემძლე უფალმა მოგვითქვა ჩვენი ცოდვები და ჩვენ ვინ ვართ, რომ ერთმანეთს არ ვაპატიოთ და არ შევეუნდოთ?

და ბოლოს, ძალიან დიდი მადლობა ჩვენი შეხვედრის ორგანიზატორებს, ჩვენს მოძღვრებს, ახალგაზრდული საბჭოს წევრებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეცადა, რომ შეხვედრა ასეთი საინტერესო და ხალისიანი ყოფილიყო.

თინიკო მანვილიშვილი

ვალე

მომენაცრებით... მიყვარხართ...

წლებადღეული ზაფხული განსაკუთრებით ცხელი იყო და ზღვაზე დასვენების თემა ყველასთვის აქტუალური ფიქრის საგანი გახდა. საქართველოს თითქმის ყველა ტელეარხი ბათუმის სილამაზისა და ზაფხულის ცხელ თვეებში აქ დაგეგმილი გასართობი შოუ-კონცერტების შესახებ იუწყებოდა, რაც უდავოდ ინვესტა თითოეული ადამიანის ინტერესსა და სურვილს, გაეტარებინა ეს ზაფხული ბათუმში. გამონაკლისს არც ჩვენ წარმოვადგენდით და, სასიამოვნო დასვენების მოლოდინით, გავემგზავრეთ ამ ზღვისპირა ქალაქში; ჩვენმა მოლოდინმა გაამართლა: აქ გატარებული დღეების განცდილებით მეტი მივიღეთ, ვიდრე ველოდით. „შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ვარ ძალიან, ძალიან კმაყოფილი, აღსავსე დადებითი ემოციებით, რომელიც დიდხანს გამყვება და, დარწმუნებული ვარ, არასოდეს დამავიწყდება...“ – აღნიშნავს თემური. ლელა მახარაძის ინიციატივით, ჩავატარეთ ფარული

კენჭისყრა, რომლის შედეგადაც გავხდით ერთმანეთის მფარველი „ანგელოზები“. ამ ინიციატივის იდეა იყო: გვეზრუნა ერთმანეთზე, განსაკუთრებით იმ პიროვნებებზე, რომელთა „ანგელოზებიც“ ვიყავით. თამაშმა ყველანი გაგვიტაცა და ერთიორად მზრუნველები გავხვად, რასაც მოყვა ოთახში მალულად დადებული მცირე საჩუქრები: ყვავილები, შოკოლადები... და, რაც მთავარია, ამის შედეგად კმაყოფილი და ნასიამოვნები სახეები.

ყოველი დღის განრიგი თითქოს ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, მიუხედავად ამისა, არც ერთი დღე არ იყო ერთმანეთის მსგავსი. ამაში ამინდმაც „შეგვიწყო ხელი“; კაშკაშა მზის შემდეგ, ღრუბლებმაც შეგვახსენა თავი, თუმცა ამან ვერ შეცვალა ჩვენი განწყობა, ვინაიდან სხვა გასართობი საშუალებები გვქონდა. ორგანიზატორებს წინასწარ მოემზადებინათ ძალზე საინტერესო და შთამბეჭდავი ფილმები სხვადასხვა ნმიდანების

ცხოვრების შესახებ. რა თქმა უნდა, ცოტა რთულია, იმ დროს, როცა ზღვაზე ისვენებ, უყურო ფილმს, სადაც გადმოცემულია ადამიანის ღრმა სულიერი განცდები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი ჩვენგანისთვის საკმაოდ მრავლისმთქმელი იყო ეს ფილმები, და მათგან მიღებული განცდები დიდხანს დარჩება ჩვენი მეხსიერებაში. „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დამაფიქრა ფილმმა „კუნძული“. ფილმის მთავარი გმირი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თავს ისჯიდა კაცის მკვლელობის გამო, იგი იხანებდა დანაშაულს, მიუხედავად იმისა რომ აიძულეს ამის გაკეთება. ყველას არ შეუძლია, ქენჯინდეს სინდისი და ასე იტანჯებოდეს ჩადენილი ცოდვის გამო, ეს დიდი ნიჭია“, – აღნიშნავს გვანცა.

ზღვიდან დაბრუნებულები, შუადღის მწველ სიცხეში, დროს ერთმანეთთან დისკუსიაში ვატარებდით. განსაკუთრებით საინტერესო იყო ლელას მიერ ახალგაზრდებისათვის მეტად აქტუალურ თემებზე მომზადებული შეხვედრები. სიყვარულის თემა, შეიძლება ითქვას, რომ ლაიტმოტივად გასდევდა ყველა შეხვედრას მთელი კვირის განმავლობაში. ყველაზე მეტი პოლემიკაც სწორედ მას მოჰყვა, რაც ბუნებრივი იყო, ჩვენ ხომ იმ ასაკში ვართ, როდესაც სიყვარულის მარადიულობაზე ჩვენი შეხედულება გაგვაჩნია და ხშირად, იმედგაცრუებულებს, ეჭვები გვტანჯავს; სწორედ აქ გვეხმარება ეკლესია ყველაზე მეტად, რათა უკეთ გავიგოთ, თუ რა არის სიყვარული და დავრწმუნდეთ მის მარადიულობასა და სიძლიერეში. ვკითხულობთ პავლე მოციქულის პირველ წერილს კორინთელთა მიმართ და თითქოს სულ თავში გვიტრიალებს ეს სიტყვები. „სიყვარული სულგრძელია. სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყმობს, არ ამპარტავნობს...“, „სიყვარული არასოდეს მთავრდება...“, „თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არა მაქვს, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა“... „სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ მქონდეს, არარაობა ვიქნებოდი“. „...რწმენა, სასოება, სიყვარული– ეს სამი. მათგან უდიდესი კი სიყვარულია“ (1კორ. 13.). სიყვარული ხომ თავად ღმერთია და ამიტომ შეუძლებელია, იგი არ იყოს მარადიული.

ყოველდღიური ლოცვები და შეხვედრები სრულდებოდა მ. ანდრეის ხანმოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო ქადაგებებით. ერთ-ერთი ასეთი ქადაგება ეხებოდა მოც. პავლეს წერილს ეფესელთა მიმართ, სადაც საუბარია ღვთის ნმიდა ეკლესიასა და ჩვენს როლზე მასში. „ამიტომ თქვენ უკვე აღარა ხართ უცხოები და მდგომარეები, არამედ ნმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლელენი, დაშენებულნი მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირკველზე, სადაც თვითონ ქრისტე იესოა ქვაკუთხედი, რაზედაც მთელი შენანევრებული შენობა იზრდება უფალში ნმიდა ტაძრად“ (ეფეს. 2, 19–21).

მ. ანდრეიმ განგვიმარტა, რომ ჩვენ სწორედ ის ქვები ვართ, რომლითაც აშენებულია ღვთის ნმიდა ეკლესია. მართლაც, ჩვენ, ახალგაზრდები (და არა მარტო ახალგაზრდები) ხომ ქრისტეს ცოცხალი ეკლესიის შემადგენელი ნაწილები ვართ, რომლებმაც სიყვარულით უნდა

ვაშენოთ ღვთის ტაძარი. ყველას ვუსურვებ ჭეშმარიტ სიყვარულს, რომელიც დაგვეხმარება ნათელი მომავლის შენებაში. ამ საკითხავმა პირადად მე კიდევ ერთხელ დამაფიქრა ჩემს, როგორც ამ შენობის ერთ-ერთი ქვის, როლსა და მოვალეობაზე.

ფიქრობ, შთაბეჭდილებებმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. „ძალიან კარგი შთაბეჭდილებებითა და განცდებით დავბრუნდი ბათუმიდან, წამოსვლა აღარ მინდოდა. მომწონდა ჩვენი შეხვედრები მ.ანდრეისთან და ყოველი დღე, ერთად გატარებული ზღვაზე, ბულვარში, სახლში“, – გვიზიარებს შთაბეჭდილებებს ნატალია. ახალგაზრდები ერთმანეთს კმაყოფილები და მადლიერნი დავშორდით, ვმადლობთ, პირველ რიგში, ღმერთს და შემდეგ ყველა ორგანიზატორს, „რომლებმაც გაამრავალფეროვნეს, გაგვიღამაზეს და კიდევ უფრო საინტერესო გახადეს ჩვენი ყოველი დღე. მადლობა ასევე ყველა ახალგაზრდას გულწრფელი ურთიერთობის, ყურადღებისა და გულთბილი მეგობრობისათვის“, – აღტაცებას ვერ მალავს თემური.

P.S. ბათუმში ერთად გატარებული დღეები მართლაც ნაყოფიერი გამოდგა, ერთმანეთს დაგვაახლოვა აქამდე უცნობი ახალგაზრდები. ამის დასტურია facebook–ის Wall–ებსა და სურათებზე გაჩენილი კომენტარები... მე-ნატრებით, მიყვარხართ...

შორენა პარუნაშვილი





ვალეს ეკლესიის დღესასწაული



კამბოსკოლა
ოჯახებისთვის



კათედრალის
ახალგაზრდები
ბათუმში